ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 16 თებერვალი 1996 № 12 (237) ფასი 40 თეთრი



## „სპარტაკმა“ აშვეთია დაგვიწუნა!

ნამყვანი მოთამაშეების გარეშე დარჩენილი მოსკოვის „სპარტაკი“ ვერა და ვერ ხეირობს საკონტროლო შეხვედრებში. მოსკოველებმა მეორე მატჩიც წააგეს, ამჯერად ნალჩიკელ თანაკლუბელებთან 1:2. მიხეილ აშვეთიამ ბოლო 12 წუთი ითამაშა.

წუხელ დავუკავშირდით მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელს გიორგი იარცევს და ვთხოვეთ ეცნობებინა მიხეილ აშვეთიას შესახებ. იარცევი მეტად ლაკონიური იყო.

— დარჩება აშვეთია „სპარტაკში“?

— არა.

— ამჟამად სად იმყოფება იგი?

— საქართველოში გამოემგზავრა.

— მოგეწონათ მისი თამაში?

— რომ მომწონებოდა, დავიტოვებდი.

— მის მიერ ნათამაშებ ორ მატჩზე რას იტყვით?

— იგი მხოლოდ ორი დღით იყო ჩამოსული. შევამოწმე და უკან გამოვუშვი. ასე რომ, საქართველოში ეძიეთ აშვეთია.

...საქართველოში ძებნის დრო, სამწუხაროდ, გუშინ აღარ გვქონია...

## სავარაუდოდ, გაგუა და კოპალეიშვილი

23 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ოფიციალურად დაამტკიცებენ ახალგაზრდულ, 18 და 16 წლამდე ნაკრებთა მთავარ მწვრთნელებს.

ერთი მათგანის შესახებ წინა „სარბიელში“ უკვე გაუწყეთ – ახალგაზრდულ ნაკრებში ვლადიმერ გუცაევი იმუშავებს. დანარჩენებშიც, ფაქტიურად, ყველაფერი ცნობილია. სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ფედერაციას 18 წლამდე ნაკრებისთვის შეუგულებია ვახტანგ კოპალეიშვილი, ვინაც აქამდე ახალგაზრდულში შოთა ჭეიშვილს ეხმარებოდა, ამასთან „ნორჩ დინამოელშიც“ მუშაობდა და საკმაოდ წარმატებითაც: შარშან ჩატარებული ხუთი ტურნირიდან კოპალეიშვილის აღსაზრდელებმა ოთხში გაიმარჯვეს.

„ნორჩ დინამოელში“ მუშაობს რეზო გაგუაც, ბავშვთა ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი, რომლის კანდიდატურაც ყველაზე უმცროსთა – 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელად მოუწონებიათ. ამას წინათ ისიც გაუწყეთ, რომ რეზო გაგუას „შევარდენში“ დაბრუნებული მურთაზ ხურცილავაც სთავაზობდა თანამშრომლობას.

არის სხვა ვერსიებიც, თუმცა, ზემოთთქმული ყველაზე რეალურია. მოკლედ, ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა.

ჯერ კიდევ ორი წლის წინ ითქვა, შესაძლოა, თბილისის „დინამომ“ და ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ“ ამხანაგური მატჩი გამართონო, მაგრამ მიზეზთა გამო საქმე ადგილიდან არ დაძრულა, ამჟამად'კი პრობლემები მოიხსნა და შევიტყვეთ კიდეც:

## 12 მარტს თბილისში საქართველოსა და რუსეთის ჩემპიონები ითამაშებენ

„დინამოს“ დირექტორატის წევრმა მერაბ რატიანმა გვითხრა:

— დავით ყიფიანმა გუნდში მოსვლისას კიდევ ერთხელ წამოჭრა ამ მატჩის გამართვის იდეა. მოსკოვში, თანამეგობრობის თასის გათამაშებისას შევხვდით და ვესაუბრეთ ვალერი გაზაევს და ისიც დიდი სიამოვნებით დაგვთანხმდა, მით უმეტეს, რომ 12 მარტი ორივე მხარეს, ჩვენც და ვლადიკავკაზელებსაც ხელს გვაძლევს. აქამდე მხოლოდ დროის პრობლემა გვაბრკოლებდა. უკვე გადაწყვეტილია, რომ მატჩი გაიმართოს თბილისში — 12 მარტს.

— თავის დროზე ვლადიმერ გუცაევმა თქვა, დღეს შეიძლება არც ღირდეს ამ მატჩის გამართვა, არ მსურს ვლადიკავკაზელებმა სუსტი „დინამო“ იხილონო...

— იყო ასეთი აზრიც, მაგრამ ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ. ყველას საკუთარი შეხედულება აქვს თავის გუნდზეც და თბილისის „დინამოზეც“, მაგრამ ჩვენთან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს, ბიჭები იზრდებიან და ამაში 12 მარტის შეხვედრაც დაგვარწმუნებთ. მე მგონი, ნორმალური, საინტერესო თამაში გველოდება. ვის მხარეს იქნება უპირატესობა, ჯერ კიდევ საკითხავია. მით უმეტეს, რომ თბილისში ვთამაშობთ...

რაც შეეხება „შევარდენისა“ და ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველს გიზო ჯელაძეს, როგორც ჩანს, მისი საქმე უკვე გადაწყდა, რადგან მერაბ რატიანის თქმით,

## ჯელაძემ „დინამოსთან“ კონტრაქტი გააფორმა



და მეორე წრეში „დინამოში“ ითამაშებს.

— კი მაგრამ, დებულება ხომ კრძალავს პირველი ჯგუფის კლუბის მოთამაშის ამავე ჯგუფის გუნდში გადასვლას?

— ჯელაძეს „დინამო-2“-ის განაცხადში შევიყვანთ, მეორე გუნდიდან კი ძირითადში ხუთი ფეხბურთელის გამოყვანა შეგვიძლია.

მერაბ მამულაშვილი

## Georgi: Star of wonder



## „სიტი“ — „იუნაიტედი“

### ზეგ მანჩესტერული დერბია

— დიდი არაფერი, მსუბუქად დავშავდი, მაგრამ „ევერტონთან“ ექიმმა არ მათამაშა – უთხრა ქინქლაძემ ჩვენს ლონდონელ კორესპონდენტს დავით მჭედლიშვილს სამშაბათს – ხვალ კი „ქოვენთრისთან“ აუცილებლად გამოვალ.

„ევერტონთან“ „სიტიმ“, ალან ბოლის თქმით, სეზონის ყველაზე ცუდი მატჩი ითამაშა. გუშინწინ კი გიო დაიბრუნა, „ქოვენთრი“ 2:1 დაამარცხა და ინგლისის თასის მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედს“ შეხვდება. BBC-ს სასწრაფოდ შეუძენია ამ მატჩის ტელეტრანსლაციის უფლება.

წერილი ქინქლაძეზე იხილეთ მესამე გვერდზე, ინგლისის თასის მიმოხილვა – მეოთხეზე

# ხუთი ბურთი ორ გუნდზე

**პირველ ჯგუფში მოასპარეზე რამდენიმე გუნდის მწვრთნელს უკვე შევახვედრეთ. „ზუგდიდის" ავან-ჩავანზე კი გუნდის უცვლელი უფროსი ჯემალ გოგია გვესაუბრა. ბატონი ჯემალი ერთადერთია კლუბის ხელმძღვანელობიდან, ეროვნული ჩემპიონატების დასაწყისიდანვე კლუბში ისევ იმავე თანამდებობაზე რომ მუშაობს.**

ზუგდიდში ფეხბურთი ყოველთვის ძალიან უყვარდათ. მრავალი გასაჭირის მიუხედავად, ავად თუ კარგად, მუდამ ვინახავდით გუნდს და მომავალს იმედით შევყურებდით. ახალ სეზონსაც რიხით შევხვდით, მაგრამ ფინანსურ სიდუხჭირეს ვერაფერი მოუხერხეთ. „ზუგდიდმა" ხეირიანი მომზადებაც ვერ შეძლო. ამას ძირითადი მეკარის გელა ჭანტურიას, ნახევარმცველ ბადრი დარასელიას და თავდამსხმელ გელა გაბისონიას სხვა კლუბებში გადასვლა დაერთო; გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწევაო, ისე დაგვემართა — პირველი წრის დასაწყისში ძირითადის მოთამაშეები მეკარე მამუკა ნაყოფია და ლიბერო ოთარ თუთბერიძე დაშავდნენ.

ჩვენი შეტევების სულისჩამდგმელის ზვიად ქაძანაიას ავტოკატასტროფაში დაღუპვამ ხომ მთლად ხელი მოგვითავა. იმ ავტოკატასტროფამ გამოგვაკლო კობა ჭაჭუაც, რომელიც, საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა, მაგრამ სეზონი, ფაქტიურად, გაუცდება. მომხდარი ტრაგედია გუნდს მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთად დააწვა. მიუხედავად ამისა, ყურები არ ჩამოგვიყრია და საქმეს შევეჭიდეთ. თხუთმეტ თამაშში ოთხი მეკარე გამოვცვალეთ, მაგრამ ამოდ, გოლკიპერებმა ვერ ივარგეს, და 42 გოლი გაუშვეს, რომელთა უმეტესობა მათ სინდისზეა. გუნდმა პირველი წრე მეცამეტე ადგილით დაასრულა. მივხვდით, რომ მოუმზადებელი გუნდით თამაში და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება ძნელი იქნებოდა. პრობლემების მიუხედავად 19 იანვარს შევიკრიბეთ და ზუგდიდის მახლობლად სოფელ ახალსოფლის სტადიონზე მეორე წრისთვის მზადებას შევუდექით. შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა, დაბრუნდა ნახევარმცველი ზაზა აფაქიძე. გასასინჯად მოვიწვიეთ მეკარეები გელა ბოჭორიშვილი (ტყიბულის „მეშახტე") და ავთანდილ ლაბაძე (ვანის „სელორი"). თუ ამ ფეხბურთელებმა გაამართლეს, მეორე წრიდან ჩვენთან იქნებიან. გაძლიერება კარგია, მაგრამ სად გინდა მოძებნო ძმები ბერიშვილების შემცვლელი. არადა, გუნდისთვის ორივე პაერივით საჭიროა. [illegible]ისა და ლევანის გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი 20 თებერვლისთვის გადაწყდება.

მზადების პირველ ეტაპზე ორი საკონტროლო მატჩი ვითამაშეთ. „სამტრედიასთან" ფრე 2:2, გოლები ჩვენგან ახალწვეულმა გია ბუხაიძემ და მანუჩარ კუტალიამ გაიტანეს, მეორე შეხვედრა ჩვენს ფარმ-კლუბთან „დინამო-2"-თან ჩავატარეთ და 3:1 მოვიგეთ. თავი გოჩა კვარაცხელიამ, ვლადიმერ გაბედავამ და ზაზა აფაქიძემ გამოიჩინეს.

მარტის პირველი რიცხვებიდან მზადების მეორე ეტაპს დავიწყებთ. შეკრება ზუგდიდშია დაგეგმილი. უსახსრობის გამო ფეხბურთელების მოწვევა ჭირს, ამიტომ ჩემპიონატის მთელი სიმძიმე ადგილობრივ კადრებზე გადაივლის, სწორედ ამიტომ შეიქმნა ზუგდიდის „დინამო-2", რომელსაც ბესიკ შეროზია წვრთნის, და რომელიც მეორე ჯგუფის დასავლეთ ზონაში თამაშობს. „დინამო-2"-დან პირველ წრეში 9 ფეხბურთელმა ითამაშა ძირითად გუნდში.

შექმნილმა სიტუაციამ გვაიძულა ბავშვთა ფეხბურთისთვის უფრო დიდი ყურადღება დაგვეთმო. ამჟამად ორ ასაკობრივ ჯგუფში ასამდე ბავშვი ვარჯიშობს. 1979-80, 1980-81 წლებში დაბადებული ბავშვები, რომელთაც გენადი ალმასია და გერონტი ნაჭყებია წვრთნიან, წარმატებით ასპარეზობენ გივი ჩოხელის და მიხეილ მესხის სახელობის ტურნირებში. ასე რომ, იმედისმომცემი თაობა გვეზრდება.

ცუდად გვაქვს საქმე სპორტული ინვენტარის მხრივაც. სათამაშო ფორმაზე რომ არაფერი ვთქვათ, ორ გუნდზე ხუთი ბურთი მოდის, ხოლო როცა 30 ფეხბურთელი ხუთი ბურთით ვარჯიშობს, რა გინდა გააკეთო. სადამდეც საბანი გაგვწვდება, ფეხებიც იქამდე გაშალეო, ჰოდა ჩვენც ასე ვიქცევით, მინიმუმით ვკმაყოფილდებით და საპრეტენზიოც არაფერი გვაქვს. ამ ბოლო დროს, ჩვენი გაჭირვება შეისმინეს და ქალაქის და რაიონის ხელმძღვანელები დახმარებას დაგვპირდნენ. საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულმა სამეგრელოს და ზემო სვანეთის ზონაში, ზუგდიდის მერმა ბონდო წურწუმიამ თავის მოადგილეს პაატა დანელიას დაავალა, გუნდს შესაძლებლობის ფარგლებში გაუწიოს დახმარება, დაგვეხმარებიან ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციის უფროსი კოტე წურწუმია და ის ხალხიც, ბიზნესში რომ არიან ჩაბმულნი. თუ ეს ხალხი, პრობლემების მიუხედავად მაინც გამონახავენ თანხებს და გუნდს შეეწევიან, დიდ საქმეს გააკეთებენ — რა სამწუხარო იქნება, აქაურ ფეხბურთის გულშემატკივრებს და არა მარტო გულშემატკივრებს ეს ერთად-ერთი გასართობი და სიხარული მოესპოთ. სიტუაციას რეალურად ვაფასებთ და მეორე წრეში ჩვენი ამოცანა პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება იქნება.

მამუკა კვანტალიანი

# დაშლა-არდაშლა, ნასვლა-ნამოსვლა

**სენაკის** „ეგრისმა" და მისმა ხელმძღვანელობამ ფინანსურ კრიზისს თავი ვერაფრით გაართვა. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე კარსაა მომდგარი, გუნდი კი ჯერ არ შეკრებილა. სავარჯიშოდ მხოლოდ სამი ფეხბურთელი დაიარება და ინდივიდუალურად იწვრთნება. როგორც შევიტყვეთ, გუნდის დატოვებას აპირებენ კაპიტანი ნუგზარ თვარაძე, თავდამსხმელი ჯუმბერ კალანდაძე, წამყვანი ნახევარმცველი მამუკა რუსია. არადა, „ეგრისს" თამაში ძალუძს და ეს პირველი წრის ბოლო მატჩებშიც დაამტკიცა.

**თითქმის** ასეთივე დღეშია ერთ-ერთი ლიდერთაგანი ფოთის „კოლხეთი". უსახსრობამ გუნდი ლამის დაშლის პირას მიიყვანა. მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია წასვლას აპირებდა და განცხადებაც კი დაუწერია განთავისუფლების შესახებ, წამყვანი ფეხბურთელებიც გასაქცევად იყვნენ გამზადებულები, ზოგი სად ვარჯიშობდა, ზოგი სად. ნახევარმცველი თამაზ კიკლიაშვილი პორტუგალიასა და გერმანიაში ეძებდა ბედს, თავდამსხმელი გელა გაბისონია კი თბილისში ემზადებოდა. სხვადასხვა გუნდებთან. მოკლედ „კოლხეთში" „ბუნტი" იყო გაჩაღებული და მიზეზი ეს გახლდათ: ფეხბურთელებს შეპირებული, ანუ საკონტრაქტო თანხის მხოლოდ ნაწილი მიიღეს. რაც შეეხება ხელფასებს, როგორც „კოლხეთის" წარმომადგენელმა გვაცნობა, მხოლოდ იანვრის დავალიანებაა დარჩენილიო. ამასობაში ბევრი რამ შეიცვალა. მთავარი მწვრთნელიც მობრუნდა და ფეხბურთელებიც. მათი და კლუბის ხელმძღვანელების შეხვედრა 14 თებერვლისთვის იყო დანიშნული, 16-დან კი შეკრების დაწყება განუზრახავთ, მაგრამ იმ გუნდისთვის, რომელიც ევროთასებზე თამაშს უმიზნებს, შეკრება ნაგვიანევი ხომ არ იქნება?

**„შევარდენში"** დაბრუნებულმა მურთაზ ხერცილავამ გუნდის გადახალისება დაიწყო და ბევრი ფეხბურთელი „შევარდენის" მიღმა დარჩა. ირაკლი კალუგა, ვინაც პირველი წრე „შევარდენში" გაატარა, მერე კი ისრაელში იყო წასული გასინჯვაზე და ახლა თბილისს დაბრუნდა მეორე წრეს მეორე ჯგუფში მოასპარეზე თბილისის ასკ-ში გაატარებს.

**ცხუმის** ყოფილი თავდამსხმელი, შემდეგ უკრაინას წასული და „ვერესში" და „ჩერნოვციში" მოასპარეზე გიგა გადელია საქართველოში დაბრუნდა. ბოლო დროს ერთგვარ ტენდენციადაც კი იქცა უკრაინიდან ქართველთა მობრუნება — გადელია, ჭოლოკავა, ხვადაგიანი, კვიტატიანი... გადელიას „სამტრედიაც" იწვევს და „მარგვეთიც". უახლოეს დღეებში გაირკვევა, სად ითამაშებს იგი.

**ბათუმის** „დინამოში" შესაძლოა კიდევ ერთმა ახალწვეულმა ითამაშოს. ეს გახლავთ გოდერძი ნატროშვილი, მეტსახელად „გოდოლა", რომელსაც თბილისელები მინი-ფეხბურთით უფრო იცნობენ. ნატროშვილი საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრებშიც იყო ამას წინ იტალიაში, უფრო ადრე კი კვიპროსში იმყოფებოდა და „ანორთოსისში" ვარჯიშობდა, თუმცა მინდორზე არ გამოსულა. 21 თებერვალს გაირკვევა, ითამაშებს თუ არა მეორე წრეში 26 წლის ნატროშვილი „ბათუმში".

სასტუმრო „კოსმოსში", ესენგეს ჩემპიონთა თასზე თამაშისას, თბილისის „დინამოსთან" ერთად გოჩა ჯამარაული და ოთარ კორღალიძეც ცხოვრობდნენ. მოსკოვში მარტო საქომაგოდ როდი წამოჰყოლოდნენ „დინამოს", როგორც მითხრეს, ესტონეთის ფეხბურთის ფედერაციის და ტალინის „ფლორას" პრეზიდენტს აივარ პოლაკს ელოდებოდნენ, რომელსაც გოჩა ბრიტანეთში, ოთარი კი ბალტიისპირეთში უნდა გაეგზავნა. მერაბ ჟორდანიასა და ოთარ კორღალიძისგან ამ ესტონელზე იმდენი მსმენოდა, გადავწყვიტე, უეჭველად გამეცნო და გავსაუბრებოდი. ამ მიზნით ტალინის „ფლორას" პრეს-ატაშეს ჩავაკითხე. კარი ვიღაც თმაგაჩეჩილმა, ბლანჟიანმა გამიღო. ვიფიქრე, ალბათ, ესაა ჩემი კოლეგა — მეთქი მაგრამ, გვერდით ოთახშიაო,მითხრა და თავად შემიძღვა. კოლეგა ტელეფონით გადასცემდა მასალას რედაქციაში და კაი ნახევარი საათი მაყურყუტა. ყურმილი რომ დადო, მისალმების მერე ვთხოვე, თქვენი გუნდის პრეზიდენტს აივარ პოლაკს შემახვედრეთ-მეთქი. გაეცინა, ჩემთან მაგან არ შემოგიყვანაო? თურმე სწორედ ის ბლანჟიანი ყოფილა ესტონეთის ფეხბურთის მამა, მაგრამ იმდენად უბრალოდ ეცვა და ისე მეგობრულად მელაპარაკებოდა, ვიფიქრე, ქართველი ჟურნალისტის გაცნობამ გაახარა-მეთქი. მოკლედ, მეორედ მივუკაკუნე კარზე და მობოდიშებით ვუთხარი, თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი რომ მსურდა, ჩემს კოლეგას იმიტომ ვეძებდი-მეთქი. ეგ, არაფერიო, მითხრა, სკამებიდან საქმიანი ქაღალდები წამოკრიფა და სასაუბროდ მიმიპატიჟა.

# ქართველთა მეგობარი მეფუტკრე პრეზიდენტი

— ბატონო პოლაკ, ჯერ თქვენს შესახებ გვითხარით ორიოდე სიტყვა.

— დიდი ვერაფერი მოსაყოლია. ოცდაცამეტი წლისს ვარ, ოთხი შვილი მყავს, ეკონომიური და ფსიქოლოგიური განათლება მაქვს, ვწერ ლექსებსა და მოთხრობებს ბავშვებისთვის, ოთხმოციან წლებში ესტონეთის სახელმწიფო პრემიებიდან ყველა მივიღე, რაკილა ჩემი ნაწარმოებები შესაბამისმა კომისიამ საუკეთესოდ მიიჩნია. შთაგონებით ფილოსოფოსი ვარ, ალბათ ამიტომაა, რომ სახლი ქალაქისგან მოშორებით, ფაქტობრივად ტყეში რომ ავაშენე, სადაც ფუტკრების რამდენიმე სკა მაქვს. ფუტკრებს თავად ვუვლი, ამ საქმეში დიდი ფილოსოფია დევს, ტყუილად კი არ არის ესტონეთში დამკვიდრებული გამოთქმა, „ფუტკარივით მშრომელიაო". ბოლოსდაბოლოს, ვიპოვნე ჩემი საყვარელი საქმე — ფუტკრების მოვლა. ვერ წარმოიდგენთ, რამხელა სიამოვნებაა ფუტკრებთან ფუსფუსი.

— ეს ყველაფერი დიდი მოულოდნელობაა ჩემთვისაც და ალბათ ქართველ მკითხველისთვისაც, მაგრამ, მინდოდა, ორიოდე სიტყვა თქვენი საქმიანობის საფეხბურთო ნაწილზეც გეთქვათ.

— ფეხბურთი, ბავშვობიდან მიყვარს, თავადაც ვთამაშობდი, თუმცა დიდი ფეხბურთელი არ ვყოფილვარ. ისე, ახლაც ვთამაშობ, ჩვენს ფარმ-კლუბ „ლელლეში" ხან კარში ვდგები, ხანაც ლიბერო ვარ, ხანაც წინ გავიჭრები და გოლები გამაქვს. რამდენიმე წელია, ერთი იდეა მაწუხებს — მსურს, ესტონეთში ფეხბურთის აღორძინება. თანაც, მხოლოდ აღორძინება კი არა, მინდა, ესტონეთის ფეხბურთი ევროპის საფეხბურთო ელიტაში შევიყვანო, თანაც ისე, რომ ესტონეთის ნაკრებმა თავისი სიტყვა თქვას ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე. იდეა, დამეთანხმეთ, განსაცვიფრებელია ესტონეთისათვის. ეს თქვენთან, საქართველოშია ადვილი, ფეხბურთის ქვეყანა ხართ და ძლიერი მოთამაშეებიც ასარჩევად გყავთ, თქვენს საფეხბურთო მეურნეობასაც მტკიცე საფუძველი გაჩნია, მე კი ესტონეთში ყველაფერი ნოლიდან დავიწყე. იცით, რამდენი მაყურებელი დაესწრო ჩემი გუნდის, ტალინის „ფლორას" პირველ მატჩს? — თხუთმეტი კაცი, არც მეტი, არც ნაკლები. რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ კი ფეხბურთი ისე პოპულარული გავხადე, ახლა 2500 კაცი ესწრება საშუალოდ. ესტონეთის ეროვნული ჩემპიონატისათვის, ეს მეტი რომ არ ვთქვათ, მეტად განსაცვიფრებელია.

— რამდენ წელიწადში აპირებთ ესტონური ფეხბურთის ევროპულ თუ მსოფლიო ელიტაში შეყვანას?

— ერთ-ორ წელიწადში ესტონური ფეხბურთი, ნაკრები იქნება თუ კლუბები, არავისთვის აღარ იქნება ხელწამოსაკრავი. 5-6 წელიწადში კი, ვფიქრობ, ჩემსას მივაღწევ, ესტონური ფეხბურთი თავის სიტყვას იტყვის. ნულიდან რომ არ დამეწყო ყველაფერი, გაცილებით ადრე შევძლებდი ამას. მაგრამ ძნელია, როცა ყველაფერზე გიწევს ფიქრი. ძალზე ბევრს ვმუშაობ.

— ალბათ დროა, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო თემაზე — ქინქლაძის „მანჩესტერ სიტიში" გაყიდვაზე ვისაუბროთ...

— მე დიდი შესაძლებლობები მაქვს. ადრე ქართულ ფეხბურთს საერთოდ არ ვიცნობდი, ქინქლაძის გაყიდვა მანჩესტერში ყამირის გატეხვას ჰგავდა. ინგლისის პრემიერლიგაში საკმაოდ ცნობილი კაცი ვარ, დიდი კონტაქტები მაქვს. „მანჩესტერ სიტის" მენეჯერმა ლიმ მთხოვა, ქინქლაძეს დავკავშირებოდი. გავიცანი მერაბ ჟორდანია, ოთარ კორღილაძე, მერე და მერე შევყევით, ახლა კი საკმაოდ დიდი ინფორმაცია მაქვს ქართულ ფეხბურთზე.

რაც შეეხება ქინქლაძეს, კონტრაქტი მეტად სოლიდურია. ქინქლაძე, ჩემზე უკეთ იცით, ბევრ კლუბში იყო, ბევრიც იწვევდა, მაგრამ ვერსად გაჩერდა. არ იყვნენ იმ სტილის გუნდები და არც პირობები იყო ისეთი, ქინქლაძეს რომ შეეფერებოდა. მოვკიდე ამ საქმეს ხელი და რაც გამოვიდა, თავად ნახეთ.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რაღა გასავარდნ გუნდში მიიყვანეთ?

— „მანჩესტერ სიტი" არ გავარდება. ამის პირობას გაძლევთ.

— ქინქლაძის ამბებს ხშირად კი ვგებულობთ, მაგრამ თქვენც გკითხავთ: ახალი რა იცით?

— ქინქლაძით პრემიერლიგის მრავალი გუნდია დაინტერესებული. ახლა მისი რეალური ფასი სამჯერ იმაზე მეტია, „სიტიმ" რომ იყიდა. თუ ასე გაგრძელდა, სეზონის ბოლოს მისი ფასი კიდევ გაიზრდება.

— „მანჩესტერ სიტის" გავარდნაზე იმიტომ ჩამოვაგდეთ სიტყვა, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლოა ქინქლაძე სხვა, გაცილებით ძლიერ კლუბს მიჰყიდონ...

— მართალი ბრძანდებით. აკი ვთქვი, თუ ქინქლაძემ ასე გააგრძელა, არაა გამორიცხული, უძლიერესმა კლუბებმა მიიწვიონ.

— გავიგე, თითქოს ყველაზე მეტად „ლივერპულია" დაინტერესებულიო.

— „ლივერპულზე" მეტად სხვები არიან დაინტერესებულნი.

— კონკრეტულად, ვინ?

— პრემიერლიგის ყველა გუნდი.

— ახლა ჯამარაულზეც გვითხარით.

— ქინქლაძის კარგ თამაშს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქინქლაძემ ქართული ფეხბურთი ღირსეულად წარმოაჩინა პრემიერლიგაში და სახელიც გაუთქვა. „ქოვენთრი სიტი" ცუდ დღეშია, საქმე გავარდნაზე აქვს. დამიკავშირდნენ და მთხოვეს ქინქლაძის სტილის მოთამაშე თუ გეგულებაო. მეც, რაკილა ქართულ ფეხბურთზე ბევრი ვიცი, უმალ ჯამარაულზე ვუთხარი. თოვლმა შეგვაფერხა, თორემ ჯამარაული კარგა ხნის ჩასული იქნებოდა ქოვენთრიში. ჯერ გასინჯავენ, თუ მოეწონა, დატოვებენ კიდეც. არა მგონია, არ მოეწონოთ.

— კიდევ ერთ ჩვენებურს, ოთარ კორღალიძესაც თქვენ შეეშველეთ...

— ოთარი ძალზე კარგი ფეხბურთელია, მისით კმაყოფილი ვიყავი. ბევრი გააკეთა ჩვენი კლუბისთვის. ერთხანს მწვრთნელობდა და თამაშობდა კიდეც ერთდროულად. როდესაც გუნდში ისლანდიელი სპეციალისტი, „ლილესტრიომის" მწვრთნელი ტორდერსენი მოვიწვიე, მან გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა, ამიტომაც გადავწყვიტე, ოთარს სხვა გუნდი მოვუძებნო. ტორდერსენმა მითხრა, რომ ოთარის [illegible] ჩემს სისტემაში არ ჩაჯდება. ოთარს გუნდს [illegible] ვუპოვნი.

— [illegible] სკანდინავიის ქვეყნებშიც ნაცნობობის საკმაოდ დიდი წრე გყოლიათ.

— ასეა, მაგრამ სკანდინავიის ქვეყნებიდან ყველაზე მეტად დანიასთან ვიპოვნე საერთო ენა. დანიელები მეტად უკომპლექსო ხალხია, მათი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები და კულტურა ჩემთვის, როგორც ესტონელისთვის ყველაზე ახლოა. რამდენიმე თვეში შევისწავლე დანიური ენა, მერე და მერე საქმიანი კონტრაქტებიც გავაბი. ჩემი გუნდის მეკარე ბრიაუნისი, ერთი ხანობა საქართველოშიც რომ თამაშობდა, „კოპენჰაგენში" გავყიდე, იქვე მოვაწყვე ლიტველი ნახევარმცველი შუიკა. (კოპენჰაგენში ყოფნისას თავად ვნახე, რომ ამ გუნდისა და „ლუნგბიუს" მატჩში შუიკა ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მ.კ.) ჩვენებური რისტო გალასტა „ვიბორგში" მივავლინე. მოკლედ, დანიურ „სუპერლიგასთან" საკმაოდ საქმიანი კონტაქტები მაქვს. ახლაც მრავალ ფეხბურთელს ვუწყობ ხელს ფინეთსა და შვედეთში. იქიდან მსაჯებიც საკმაოდ ხშირად ჩამომყავს ჩვენი ფეხბურთის დონის ასამაღლებლად...

— ბოლო ხანს საქართველოს ნაკრებსაც შეეხიდეთ...

— აკი გითხარით, რომ ქართულ ფეხბურთთან დაახლოვებას ვცდილობ. რახან ნაკრებზე ჩამოვარდა სიტყვა, ამასაც გეტყვით: განა ქინქლაძე სწორედ მას შემდეგ არ ათამაშდა უკეთ ნაკრებში, რაც ინგლისში წავიდა? საქართველოს ნაკრების ძალა ახლა საყოველთაოდაა ცნობილი და უკვე აღარაა გასაკვირი ბულგარეთისა და უელსის დამარცხება. ამიტომაც მსურს, ჩვენი ნაკრებები ხშირად შევახვედრო ერთმანეთს. მერაბ ჟორდანიასთან ძალზე მეგობრული ურთიერთობა დავამყარე და მისი მეშვეობით შევთავაზე თქვენს ფედერაციას, ივლისში ტალინში ვითამაშოთ, გაისად თებერვალს ან მარტში კი — თბილისში. გარდა ამისა, ჩემი კონტაქტებით მივაღწიე იმას, რომ ჩილეს ეროვნული გუნდი ჩამომყავს აპრილში ტალინში. წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ისინი თანახმანი არიან თბილისშიც ითამაშონ. ეს ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი საქმეა, შეიძლება, კიდევ რაღაც გამოჩნდეს ნამდვილი და შევეცდები, თქვენც გახაროთ.

— ჩვენი ფეხბურთისთვის გაკეთებული იმდენი სიკეთე ჩამომითვალეთ, ამას ბევრი ვერ დაიკვეხნის. მაგრამ თქვენი დონისა და შეძლების ბიზნესმენი უთუოდ ქართული ფეხბურთიდანაც ელოდება რამეს. კარგი გაგებით, ცხადია...

— რა თქმა უნდა. ხომ ვეხმარები ქართულ ფეხბურთს, რითაც შემიძლია, თქვენგან დახმარების იმედიც მაქვს. არაა გამორიცხული, ესტონეთში კიდევ წავიყვანო ქართველი ფეხბურთელები. ეს ის შემთხვევაში, თუ „დინამო" გამოუშვებს, თანაც ჩვენი გუნდის მწვრთნელი მოიწონებს. როგორც გითხარით, დიდი გეგმები მაქვს და მალე ესტონეთი სულ არ იქნება მაჩანჩალა საფეხბურთო ქვეყანა. ის, რაც ახლა სასაცილო ჩანს, მალე საკმაოდ სოლიდური ძალა იქნება.

— ამას მომავალი გვიჩვენებს. ისეთი გაქანებისა და მარიფათის კაცი ჩანხართ, უთუოდ მიაღწევთ მიზანს. ახლა კი ეს მითხარით, თავად ხომ არ აპირებთ ფეხბურთის სერიოზულად თამაშს. სიმართლე მითხარით, ეს არც გამიკვირდება.

— სამწუხაროდ, სამისოდ ასაკი აღარ მიწყობს ხელს. უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო... ისე, ერთს [illegible] გინდ დაიჯერეთ, გინდ არა: რამდენიმე თვის წინ შვეიცარიაში შემეძლო ჩემი თავიც კი გამეყიდა ერთ-ერთ იქაურ კლუბში. საკმაოდ სერიოზული წინადადება იყო. ასაკს რა ვუთხრა, თორემ...

მამუკა კვარაცხელია
მოსკოვი — თბილისი




სულ ტექნიკა-ტაქტიკასა და მწვრთნელთა ჩივილზე მტერმა წერა და მტერმა იკითხა. ხანდახან ფეხბურთელთა პირად ცხოვრებაშიც რომ ჩაგახედოთ, იმედია, ესაც დაგაინტერესებთ. ახალ რუბრიკას ჯამარაულების ოჯახით ვხსნით...

# ეს იყო ესპანეთში...

მეკა და გოჩა დღეს ერთად და ბედნიერად ცხოვრობენ. სიყვარული კი შორეულ პირენეის ნახევარკუნძულზე ჩაისახა. მოკლედ, ეს იყო ესპანეთში...



...1993 წლის ზაფხულში მეკას მამამ, ფეხბურთის დიდმა თაყვანისმცემელმა და მოამაგემ, აწ გარდაცვლილმა თემურ გიორგაძემ საქართველოს ნაკრების ტურნე დააფინანსა ესპანეთში. გოჩა ჯამარაული იხსენებს: „ტურნეში თემურ გიორგაძემ თავისი ქალიშვილები — მეკა (მერი) და ქეთინოც წამოიყვანა. მართალია, მეკა მაშინ ძალიან პატარა, სულ 15 წლისა იყო, მაგრამ ძალიან მომეწონა. იქიდან დაიწყო ჩვენი სიყვარული". თუმცა, მხოლოდ თბილისში გაუცვნიათ ერთმანეთი. „გოჩაზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ფეხბურთელი იყო — ამბობს მეკა — მეტი არაფერი. ესპანეთშიც არანაირი კონტაქტი არ გვქონია. თბილისში ჩამოსვლისას გავიცანით ერთმანეთი — ტელეფონით, მერე კი პირველი ნახვისთანავე მომეწონა".

ეს იყო მისი პირველი შთაბეჭდილება კაცზე, რომლის პროფესიაზეც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა. „ფეხბურთის გაგებაში არ ვიყავი. ვიცოდი, გოჩა სადღაც „დინამოში" იყო და ბაზაზე თამაშობდა. ახლა ცოტა რამ ვისწავლე".

ამაზე გოჩას მრავალი სასაცილო ამბავი ახსენდება: „ერთხელ თამაშის მერე ვუთხარი, შესამე ტაიმიც ხომ უნდა გაიმართოს და იქნებ დარჩე-მეთქი. მთელი სერიოზულობით შემპირდა, დაგელოდებიო. არ ესმის ფეხბურთი. ახლა ცოტა გაერკვა. იხე, ვერც მე ვერკვევი მის პროფესიაში — მოდელირებაში და არც არის გასაკვირი".

რაც გათხოვდა, მეკას, ფაქტიურად, დროც აღარ რჩება თავის საქმიანობისთვის. კი იცით, ოჯახში ათასი საქმეა. თანაც გოჩა და მეკა მარტო ცხოვრობენ. საუბრისას ერთი რამ მეუცხოვა — გოჩას ჯამარათი მიმართავდა. „თავიდან ასე გავიცანი და შევეჩვიე ჯამარას დაძახებას. ახლაც კი, გოჩას თუ დავუძახებ, ასე მგონია ვილაც სხვას ველაპარაკები. ალბათ თანდათან მივეჩვევი".

რა ძნელია სპორტსმენთა ცხოვრება, ყველას მოეხსენება. „ცისფერი მთების" ერთი პერსონაჟისა არ იყოს, ფეხბურთელებიც იღლებიან გაუთავებელი ბანკეტებით, შეხვედრებით, მივლინებებით. თუმცა, პირველი — ყველაზე სასიამოვნო უფრო ნაკლებად არის, ოჯახთან განშორება კი ხშირია, რაც ასე ძლიერ ანატრებს ამ ორს ერთმანეთს.

„მესმის, რომ გოჩას ასეთი ცხოვრება აქვს და ვცდილობ, ხელი შევუწყო. რაც უნდა იყოს, ეს მისი პროფესიაა. თუმცა კი, ლოდინი ძალიან ძნელია და ძალიან მენატრება ხოლმე". გოჩაც ამას ამბობს: „ყველა ფეხბურთელის ოჯახში მსგავსი ვითარებაა. გვენატრება ცოლები, საყვარელი ადამიანები. ალბათ, მოვა ისეთი ბედნიერი დრო, უკეთესად მოვაწყობთ ცხოვრებას და სულ ერთად ვიმოგზაურებთ, შეკრებებზეც და იქაც, სადაც მე ვითამაშებ. ყოველ შემთხვევაში, ამის გულისთვის ცოლის მოყვანაზე უარს ხომ არ ვიტყვით?" ახლა გოჩა ინგლისში, „ქოვენთრი სიტიში" წავიდა გასასინჯად, თუმცა, ჯერ მეუღლის გარეშე: „თუ საქმე კარგად აეწყობა, მეკასაც წავიყვან. იმედი მაქვს, ასეც იქნება".

ახალშეუღლებულნი თავისუფალ დროს მეგობრების წრეში ატარებენ — ესენი კი უფრო, ხშირად ფეხბურთელები არიან. „მეგობრის გარეშე არსებობა არ შემიძლია — ამბობს გოჩა — სანამ შევუღლდებოდით, ხან მაისასთან (ვასკა მაისურაძე) მივდიოდით სახლში, ხან ნემსასთან, ხან ყაველასთან და ხანაც ჩემთან ვიკრიბებოდით. ჰო, ლობჟანიძე გამომრჩა. სულ მეგობრებში [illegible] დივართ და ბარებში. იმიტომ კი არა, რომ იქაურობას გავურბივართ, უბრალოდ ხალხმრავლობას და ხალხის თვალში მოხვედრას ვერიდებით. რომ დაგვინახონ, მეორე დღეს მთელ თბილისს ჭორი მოედება, ფეხბურთელები მთვრალები ვნახეთო. რესტორანში კი, თუ შედიხარ, უნდა დალიო, ჩვენი პროფესია კი ამის უფლებას არ გვაძლევს, სულ რეჟიმში უნდა იყო. ოჯახებითაც, ვინც ჩამოვთვალე, მათ ოჯახებთან ვახლობლობთ."

მეშვიდე სართული, ანუ ის, რომელზეც ჯამარაულის ოჯახი ცხოვრობს, საფეხბურთო სართულად შეიძლება მოინათლოს. წინ წარსულში ცნობილი მეკარე, პენალტების სპეციალისტი კარლო მჭედლიძე სახლობს. გვერდით კი ასევე ცნობილი ნოდარ ხიზანიშვილი, ამჟამად ბოლნისის „სიონის" მთავარი მწვრთნელი. თავად გოჩა კი ნუკრი კაკილაშვილის ყოფილ ბინაში ცხოვრობს.

„კარგი მეზობლობა გვაქვს. რაც აქ გადმოვედით, მათგან სითბოს მეტი არაფერი გვახსოვს. მეკა 18 წლისაა და რაც უნდა იყოს, ოჯახის გასაძღოლად ჯერ მაინც პატარაა, მაგრამ ნოდარისა და კარლოს მეუღლეები ისე გვეხმარებიან, რომ პრობლემებს ვერც ვგრძნობთ. ახალშექმნილ ოჯახში პრობლემებს რა გამოლევს. ისე, ღმერთის ხელიც ურევია, ასეთი კარგი მეზობლები რომ შეგვხვდა."

ერთი მხრივ, უცნაური წყვილია, მათ პროფესიებს შორის განსხვავებებს თუ გავითვალისწინებთ: ფეხბურთელი და მოდელიორი — სხვა ფიქრი, სხვა საზრუნავი. თუმცა ამათ სიყვარულს ეს განსხვავება, შესაძლოა, უფრო აძლიერებდეს — უცნობ და რომანტიკულ სამყაროსთან შეხების სურვილი. გოჩას თქმით კი: „ერთი შეხედვით, შეიძლება უცხოდ ჩანდეს ფეხბურთელისა და მოდელიორის ქორწინება, მაგრამ საქმე სხვაგვარად არის — რაც უნდა განსხვავება ყოფილიყო ჩვენს შორის, ეს ბარიერი მაინც გადაილახებოდა. ადამიანი თუ გიყვარს, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, ვინ მოდელიორია და ვინ ფეხბურთელი."

სხვათა შორის, ჰოროსკოპით გოჩას და მეკას ზოდიაქოს ნიშნებიც — ლომი და მშვილდოსანი ვერ ჰგუობენ ერთმანეთს, არადა, ამათ სიყვარული აქვთ, მტერს შეშურდება. საერთოდ, ცოლ-ქმარს ჰოროსკოპი არც აინტერესებს. ის კი არა, გოჩამ მათი ზოდიაქოს ნიშნების შეუთავსებლობაზე არაფერი იცოდა. „მაგას მნიშვნელობას არც ვანიჭებ. შეიძლება არიან ადამიანები, მეუღლეებს ზოდიაქოს ნიშნებით რომ ეძებენ, მაგრამ მე მათ არ განვეკუთვნები და, საერთოდაც, ეს უაზრობა მიმაჩნია."

„ზოდიაქოს ნიშანს რა მნიშვნელობა აქვს, თუ ადამიანი გიყვარს — ფსიქოლოგიური შეუთავსებლობით უკვირს მეკას — ჰოროსკოპების არასდროს მჯეროდა."

ეკლესიაში სიარული უყვართ. თუმცა, გავრცელებული ცრურწმენის გამო, ქორწინებამდე იქ ერთად შესვლას ერიდებოდნენ. „ახლობლებმა გვითხრეს ჯვრისწერამდე ერთად ეკლესიაში არ შეხვიდეთო. პირველად ერთად მხოლოდ ყაველაშვილის ქორწილზე მივედით, მეორედ კი ჩვენს ჯვრისწერაზე — 25 ნოემბერს."

ჯვრისწერა ორთაჭალაში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში ჰქონდათ. „ათი დღით ადრე ყაველაშვილმაც იქ დაიწერა ჯვარი და მეც ასე ვისურვე."

„ეკლესიაში ხშირად დავდივართ — გვიმხელს მეკა — ჩემი მშობლები გარდაცვლილები არიან და მათი სულების მოსახსენებლად სანთლებს ვანთებთ ხან დიდუბეში, ხან სიონში და თუ მოვახერხეთ — სვეტიცხოველში, თუმცა, ერთი ეკლესია არ ამოგვირჩევია."

„ყველანი ღვთის შვილები ვართ — სჯერა გოჩას. — მე მწამს ღმერთი. ვიცი, კარგი საქმეების საკეთებლად ის გვაძლევს ძალას. შეიძლება, ათ მცნებას ვერ ვიცავდე, მაგრამ კი ვცდილობ. ცხოვრების მანძილზე ბევრი ჭკუის სასწავლი მაგალითი მქონდა, ასე რომ ვიფიქრო. როცა საქმეს გულით ვაკეთებდი, ყველაფერი კარგად გამომდიოდა. ვულალატე, არასერიოზულად მოვეკიდე ვარჯიშებს და, ყველაფერი ამერია, მალევე დავისაჯე და ტკბილი წარსულიც მოგონებად დამრჩა. რაც უნდა მოგივიდეს, ყველაფრის მიზეზი შენში უნდა ეძებო და ისე იცხოვრო, ღმერთი რომ შეგეწიოს. მე ასე მწამს."

მეკაც ასე ფიქრობს. „რაც მითხოვია ღმერთისთვის, ყველაფერი შეუსრულებია"...

...საუბარი გაგვიგრძელდა, უკვე გვიანი იყო — 10 საათი სრულდებოდა, თანაც დილომი უსინათლოდ იყო დარჩენილი. დავემშვიდობე გულთბილ და სტუმართმოყვარე მასპინძლებს.

დღეს გოჩა ინგლისშია. კიდევ ერთხელ მოუწიათ ერთმანეთთან განშორება. იმედია, ღმერთი მეკას ერთ სურვილსაც აუსრულებს — იქნებ გოჩამ (უფრო სწორად, ჯამარამ) ბოლოს და ბოლოს ნიჭის შესაფერისი ქვეყანა და სარბიელი მოძებნოს. ეს მეკას ბედნიერებაც იქნება. მეც იგივეს ვუსურვებ.

**ვერაბ მამულაშვილი**

---

ინგლისური პრესა განაგრძობს გიორგი ქინქლაძეზე წერას. გთავაზობთ 26 იანვრის „ინდეპენდენტში" გამოქვეყნებულ წერილს.

# ქინქლაძე — „სიტის" აღორძინების ნაპერწკალი



გიორგი ქინქლაძე ინგლისს შეეგუა — ამას ბევრი რამ ადასტურებს: იგი საუცხოო ფორმაშია, „მანჩესტერ სიტი" ესწრაფვის ფეხბურთელთან კონტრაქტის გაგრძელებას, ისე, რომ ის მომავალ საუკუნეშიც ამ გუნდში თამაშობდეს. თუმცა, ისეთი ამბებიც ხდება, სხვაგვარად რომ გვაფიქრებინებს.

მაგალითად, ყვითელი საგზაო ხაზების არსებობა მისთვის საშიშია. ამ კვირაში მანქანა აკრძალულ ადგილზე დააყენა და ეგონა, როგორც ქალაქის ცნობილ პიროვნებას, აპატიებდნენ. არადა, მანქანაც წაჰგვარეს და 105 გირვანქითაც დააჯარიმეს.

იგი მეორე დღესაც გაოგნებული გახლდათ: „პოლიციამ მანქანა მომპარა" — იმეორებდა აღელვებული, სანამ კლუბის თავმჯდომარემ ფრენსის ლიმ განზე არ გაიხმო და მშვიდად ორიოდ სიტყვა არ უთხრა. ამის მერეც კი გამოხატავდა აღშფოთებას: „თბილისში ასეთი რამ არ მოხდებოდა."

ინგლისური ფეხბურთის საბედნიეროდ, ქინქლაძე აქ თამაშობს. 2 მილიონ გირვანქად ნაყიდი, ის სუსტ გუნდში სასწაულებს ხდის და, როგორც ჩანს, გასული ზაფხულის საუკეთესო შენაძენია, მიუხედავად იმისა, რომ მასთან ერთად ინგლისს გადმოვიდნენ დავიდ ჟინოლა და დენის ბერხკამპი. აშკარაა, რომ „სიტი", რომელიც ხვალ თასის მეოთხე ეტაპზე „ქოვენთრის" ხვდება, მას არც ერთში გაცვლიდა და არც მეორეში.

თუ რატომ, ამაზე მესამე ეტაპზე „ლესტერის" კარში გატანილი გოლი მეტყველებს. ბევრს როდი შეუძლია, ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღოს, ორი მეურვე ჩამოიცილოს, გზად შემხვედრ მცველებსაც აუაროს გვერდი და გაიტანოს.

„ჩემი აზრით, მათ შორის, ვინც ბოლო 10-15 წლის მანძილზე მინახავს, ის ერთ-ერთი საუკეთესოა" — ამბობს ლი, კაცი რომელიც ქებისას ზღვარს არ გადადის — „თუ საკუთარ თამაშს დახვეწს და გაღონიერდება, ვინც ოდესმე გვინახავს, მათ შორის საუკეთესოთაგანი გახდება. ვიცოდი, რომ იშვიათი ნიჭი ჰქონდა, მაგრამ რაც გააკეთა, მისი ხასიათის საოცარ სიძლიერეს ადასტურებს. ის მოვიდა გუნდში, რომელსაც ლიგაში 11 თამაშის განმავლობაში ვერ მოეგო, მაგრამ ამას მასზე არ უმოქმედია. ის ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა. მარტო იყო, თავისთვის. ყველაფერი თითქოს მის წინააღმდეგ იყო. ის კი მშვენიერი ბიჭი ყოფილა, ამას ყოველივეს გაუძლო და დღევანდელ მდგომარეობას მიაღწია".

ამ სიტყვების დასტურად, როდესაც ლი და ქინქლაძე საუბრობდნენ, მათ თავს ზემოთ მოთავსებულ ტელევიზორში „ლესტერის" კარში გატანილი გოლი აჩვენეს. „სიტის" ფანებმა, სავარჯიშო კომპლექსში რომ შეეშვათ და მოთამაშეებს შერეოდნენ, ამის დანახვაზე აღფრთოვანებისგან ამოიძახეს და უნებური ტაში დასცხეს. ქართველის სახეს სუსტმა, მორცხვმა ღიმილმა გადაურბინა

„ბურთი ნიკი სამერბისგან მივიღე, მერე კი არაფერი — წინ გავიჭერი. ინსტინქტმა იმძლავრა." — ამბობს ის.

ლი საუბარში ჩაერია: „როგორ აგდებს ანდრე აგასი 100 მილი საათში სისწრაფით გამოფრენილ ბურთს უკან? გგონიათ, თავად იცის? გიორგიც ვერ გეტყვით, როგორ გაიტანა."

ინსტიქტი — პრემიერლიგაში ქინქლაძის დებიუტის აღსაწერად ეს ყველაზე შესაფერისი სიტყვაა. 22 წლის ფეხბურთელი მოედანზე აქეთ-იქით ინაცვლებდა იმ პოზიციის ძიებაში, მასაც და გუნდსაც რომ მოერგებოდა, სანამ ალან ბოლმა იგივე ადგილი არ მიუჩინა, თავის დროზე მეტიუ ლე ტისიეს რომ გამოუძებნა. მას მერე უზადოდ თამაშობს.

ბოლს ესმის, რომ ძიების პერიოდში მთელი ტვირთი მისმა სხვა ნახევარმცველებმა ზიდეს: „როცა ბავშვი შეცბუნებული იყო, ჩვენ კი ნახევარდაცვაში ექსპერიმენტებს ვატარებდით, ორი მოთამაშე სამის საქმეს აკეთებდა. სრულიად უანგარონი იყვნენ, მაგრამ გულის სიღრმეში ნამდვილად არ სიამოვნებდათ ასე ყოფნა. ახლა უფრო კმაყოფილნი არიან. შეხედეთ მის დღევანდელ სამოქმედო სივრცეს. იგი გაერკვა, რა უნდა აკეთოს, როდესაც ბურთი მეტოქეს აქვს. ის დაცვისკენ იწევს და იქ იბრძვის. მოთამაშეებს იგი უყვართ, რადგან ხედავენ, რომ საკუთარი თამაშის მოსაძებნად მან ბევრი იშრომა. ახალგაზრდები ცდილობენ, მას მიბაძონ. ამ ქვეყანაში მაიმუნებივით უცქერენ და ბაძავენ, მაგრამ ჩვენს მოთამაშეებს არ ჰყოფნით ტექნიკა ყველაფრის გასამეორებლად."

ქინქლაძეს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მომავალი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ უზრუნველჰყო. „ბევრი მეგობარი წავიდა ომში, ბევრი დაიღუპა. მაშინდელ გასაჭირთან შედარებით ახლანდელი არაფერია, შედარებაც არ შეიძლება. მეც მინდოდა ომში წასვლა. საქართველოში ყველას უნდოდა, ქალებს და ბავშვებსაც კი. ბევრი ისე წავიდა, სროლა არც კი იცოდა."

თბილისის „დინამოს" პრეზიდენტმა პატრიოტული ვალი სხვაგვარად გაიაზრა. მან თავისი ფეხბურთელები მთელს ევროპაში გაჰყიდა, რათა მათთვის ომში წასვლა აეცილებინა თავიდან. ოღონდ კონტრაქტები ისე გააფორმა, რომ ისინი უკან დაბრუნებულიყვნენ. ქინქლაძემ ერთი წელიწადი ზაარბრიუკენში გაატარა, რისი წყალობითაც დღევანდელ სამ გერმანელ თანაგუნდელთან ურთიერთობა უიოლდება.

„სიტის" ფეხბურთელები ქინქლაძეს მოედნის გარეთაც გვერდში უდგანან. მათ ქართველი მის საყვარელ ჩინურ რესტორანში დაჰყავთ და აგრძნობინებენ, რომ იგი მარტო არაა. ასეთი გარემოცვა და ზრუნვა თან სდევს ქინქლაძეს, რომელიც სხვა ლეგიონერებისგან, მაგალითად, ერიკ კანტონას და დავიდ ჟინოლასგან განსხვავებით, ხმაურიან ცხოვრებას არ ეწევა. ის უფრო მშვიდია, ვიდრე ორივე ზემოხსენებული ფრანგი და როგორც ჩანს, მათზე ჭკვიანიც არის. არავის შეუმჩნევია მისთვის ხასიათის უკიდურესი ცვლილებები. გიორგი უკმაყოფილო მხოლოდ მაშინაა, როცა ტრავმას მიიღებს, თუმცა შურისძიებას არ ცდილობს.

როდესაც „ენფილდიდან" დაბრუნდა, სადაც ამ სეზონში ყველაზე მეტად იტკინა ფეხი, პირველი, რაც თარჯიმნის მეშვეობით თქვა, ეს იყო: „მე ვაპირებ მომდევნო შეხვედრაში თამაშს. მე უნდა ვითამაშო. საქართველოშიც მარტყამდნენ ფეხებში. შეჩვეული ვარ."

ის, რომ ქოვენთრიში დიდ მეთვალყურეობას დაუწესებენ, მას სულაც არ აღელვებს. „სიტის" ფეხბურთელები თამამად არიან, ისინი ქინქლაძესთან ბურთს გაათამაშებენ, რაგინდ პერსონალური მეურვე ჰყავდეს.

„პირადად ჩემთვის ეს ცუდია — თქვა ქინქლაძემ — მაგრამ გუნდისთვის კარგია. თუ ორი ან სამი მეტოქე ყურადღებას მე მომაქცევს, სხვებს მეტი სივრცე დარჩებათ სამოქმედოდ. ფეხბურთის ასოციაციის თასი ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. „უემბლიზე" თამაში ჩემი ოცნებაა."

ის ოცნებას აიხდენს, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ინგლისი საქართველოს შეხვდება, თუმცა მანამდე მისი მამობილი „სიტის" შემადგენლობაში სურს იგივე. „ორ ხალხს სულ სხვადასხვა ტრადიცია აქვს, მაგრამ მანჩესტერელები ისევე თბილნი არიან, როგორც ქართველები — ამბობს ის — აქ ბევრი მეგობარი შევიძინე, კლუბის თავმჯდომარე, მწვრთნელი და თანაგუნდელები. აქ ჩემი საფეხბურთო სახლია. თავს ისე ვგრძნობ, თითქოს აქ დავიბადე".

**გაი ჰოჯსონი**

ფოტო „დეილი ტელეგრაფიდან"

# ახალგაზრდები ჯაგას ვერაფერს გამოაპარებენ



**მალხაზ ლაცაბიძე ხაშურის „იმერიის" მთავარ მწვრთნელად დანიშნესო, უკვე გაუწყეთ. ახლა თავად ახალბედა მწვრთნელს მოვუსმინოთ. ისეთს, როგორიც „ჯაგაა", სათქმელი ნამდვილად ექნება, მას ხომ საქართველოს ლამის ყველა გუნდში უთამაშია. საფეხბურთო კარიერა თბილისის „დინამოს" დუბლებში დაიწყო, მერე იყო ფოთის „კოლხეთი", ერთო ხანობა — ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდიც, იქიდან ჯარში უკრეს თავი და გაამწესეს ბაქოში, სადაც იქაურ არმიელთა გუნდში აბურთავეს, შემდეგ ისევ თბილისი, გორი და ასე შემდეგ. ამასობაში ბევრმა წყალმა ჩაიარა, ეროვნულმა ჩემპიონატმაც მოატანა და მალხაზმა შვიდივეში მიიღო მონაწილეობა...**

— საკმაოდ ბევრი ვითამაშე, ასაკმაც მიწია, ძველებურად ველარ ვირჯებოდი მინდორზე და წასვლა გადავწყვიტე. ფეხბურთს საბოლოოდ ვერ მივატოვებდი და როცა ჩემსავე გუნდში „იმერიაში" მწვრთნელობა შემომთავაზეს, დავთანხმდი. ვთვლი, რომ როგორც ფეხბურთელმა, ჩემი შესაძლებლობები სრულად ამოვწურე.

**— მეტსახელი „ჯაგა" რატომ შეგერქვა?**

— „ჯაგას" ბავშვობიდან მეძახდნენ, მერე კი, 1979 წლიდან ლამის მომეწება. მაშინ „დინამოს" დუბლებში ვთამაშობდი. გეხსომებათ, მაშინ „დინამო" ქუხდა, ჩემპიონობაც ახალი მოპოვებული ჰქონდა. მახსოვს, მაშინდელ სამტრედიის „ლოკომოტივს" ვეთამაშებოდით დუბლები. აბა, 17 წლის ლაწირაკის ვინაობა ვის ეცოდინებოდა. ვილაცას უკითხავს, ეს ბიჭი ვინ არისო. პასუხი ასეთი მიუღია — ეს ხომ ჯაგაა, ლაცაბიძეო. ეს იყო და ეს, მას შემდეგ ყველა აზლობელი ამ სახელს მეძახის.

**— შენ მსაჯებთან „ტკბილმოუბრობითაც" ხარ ცნობილი. დავიჯერო, ასე გძულს ეს ხალხი?**

სიძულვილი არაფერ შუაშია, ბუნებით ემოციური ვარ. ბოლო წლებში კი ჯანიც არ მერჩოდა ისე, როგორც მსურდა და ალბათ ამიტომაც მეჩვენებოდა, თითქოს მსაჯები სცოდავდნენ. სინამდვილეში რა თქმა უნდა, სხვაგვარად იყო. ამ ხალხის მიმართ საბოდიშო და სამადლობელი ბევრი მაქვს, საპრეტენზიო ნამდვილად არაფერი გამაჩნია.

**— ვაი თუ, ისევ ძველისკენ გაგიწიოს გულმა?**

— მე რომ ვცდებოდი, რაც მერე სამართლიანად მიხდებოდა საწამებლად, იმას არ ნიშნავს, რომ ჩემმა მოთამაშემ იგივე გაიმეოროს. „იმერია" ახლა ახალგაზრდული გუნდია, ახალგაზრდები კი ვერაფერს გამომაპარებენ. გუნდში უმკაცრესი დისციპლინა დამყარდება, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ფეხბურთელს მინდორზე მხოლოდ ბურთის თამაში ევალება და არა მსაჯთან კამათი. ვისაც ეს აზრი არ მოსწონს, ახლავე შეუძლია გუნდიდან წასვლა. მერწმუნეთ, ეს ალალი და მართალი სიტყვებია და არა მგონია, გამიჭირდეს ამის გაკეთება.

**— მართალია, ბურთს კარგა ხანი სდიე, მაგრამ მწვრთნელობა სხვა საქმეა. როგორ გგონია, გაართმევ თავს ახალ მოვალეობას?**

— ოთხი წელი ვითამაშე ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით და როგორ გგონიათ, ეს ცოტაა? ამას ის მწვრთნელებიც დაუმატეთ, რომლებთანაც სხვადასხვა დროს ვთამაშობდი, ბოლოს მერაბ კოჭლაშვილი ავარჯიშებდა „იმერიას". მასთან მუშაობამაც ბევრი შემძინა, ჩინებული სპეციალისტია. თუ ყველაფერ ამას მიღებულ გამოცდილებასაც დავუმატებთ, რაღაც დაგროვდება. მართალია, თავიდან შეიძლება გამიჭირდეს, მაგრამ ეს ხომ კანონზომიერია. მზად ვარ ვისწავლო, ვიმუშაო, მერე და მერე კი გამოვიწვრთნები.

**— ახლა „იმერიას" ამბებზე გვითხარი. რამდენი ფეხბურთელი წავიდა?**

— გვარამაძე, გეგეჭკორი, იობაშვილი, მაქაცარია, ქობელაშვილი...

**— კი მაგრამ, ეს ხომ ნახევარი გუნდია, თანაც ყველა გამოცდილი და კარგი მოთამაშე. მათ ნაცვლად ვინ მიიღეთ?**

— ახლა 12 კაცს ვსინჯავთ. მათ გვარებს შეგნებულად არ დავასახელებ. მათი ჩვენთან დარჩენა-არდარჩენის საკითხი 20 თებერვალს გადაწყდება.

**— მეორე წრეში „იმერიას" რა მიზნები აქვს?**

— მიზანი ერთადერთია — პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. ვფიქრობ, ეს არ უნდა გაგვიჭირდეს.

**— გუნდის ტაქტიკის შენეული ვარიანტი უკვე მოიფიქრე?**

— მეტოქეს გააჩნია. სათამაშო სქემას მათი სიძლიერის მიხედვით შევარჩევ. ზემოხსენებული ხუთეული გუნდიდან რომ არ წასულიყო, ნაკლები პრობლემები გვექნებოდა, მაგრამ არა უშავს, როგორღაც გავძვრებით.

**— მწვრთნელობასთან ერთად თამაშსაც ხომ არ აპირებ?**

— არა. მოთამაშეობას გამოვემშვიდობე. ჩემი დრო წავიდა. სულაც არ მსურს, ახალგაზრდებს ხელი შევუშალო. შვიდივე ეროვნულ ჩემპიონატში გამოვსულვარ, მატჩებიც ბლომად მითამაშია და ბევრ ავ-კარგთან ერთად 32 გოლიც გამიტანია. არა მგონია, მცველისთვის ეს ცოტა იყოს. მოკლედ, დროა ასპარეზი სხვას დავუთმო.

**— ერთი ხანობა დისკვალიფიცირებულიც კი იყავი...**

— სრული სიმართლეა. როცა ყველაფერი გავაანალიზე, მივხვდი ჩემს შეცდომას და დანაშაული მოვინანიე. მერე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მომცა შანსი და სასჯელი ერთწლიანი პირობითი დისკვალიფიკაციით შემიცვალა. მაშინ ერთი ექსცესიც რომ მომხვლოდა, წასული იყო ჩემი საქმე. საბედნიეროდ, ყველაფერი ნორმალურად დასრულდა. დამეჯერება და ერთ რამეს ვურჩევდი ახალგაზრდა ფეხბურთელებს: ყველაფერს ის სჯობს, თავიანთ საქმე აკეთონ ხეირიანად, სადაო საკითხებს კი გუნდის ხელმძღვანელობა გაარკვევს.

**— „იმერიის" გულშემატკივრებზე ვთქვათ: ხაშურში ხომ ბევრი ექსცესი მომხდარა, რასაც სასიკეთო ნამდვილად არაფერი მოაქვს...**

— მე მგონი, პრობლემა არ უნდა იყოს. გუნდის და ფეხბურთელების ხათრით ყველაფერი მოგვარდება. გპირდებით, ხაშური ერთ-ერთი სამაგალითო და მისაბაძი გახდება ეროვნულ ჩემპიონატში.

**— ფინანსურად ხელის გამმართავი თუ გყავთ?**

— კლუბის პრეზიდენტის თამაზ ბერიძის არყოფნაში, რომელსაც ავადმყოფობამ დარია ხელი, მერია გვმფარველობს. გამგებელი გივი ხვედელიძე და გამგებლის მოადგილე რევაზ მესხი დახმარებას შეგვპირდნენ. ასე რომ, გავფრინდებით-მეთქი, არ ვიტყვი, მაგრამ ვიარსებებთ.

**— გეზი გუნდის გაახალგაზრდავებაზე აგიღიათ, შესაბამისად, ბავშვთა ფეხბურთს თუ მიექცევა გამორჩეული ყურადღება?**

— ხაშურში მოზარდებთან კარგი სპეციალისტი, მევლუდი ლომიძე მუშაობს. ამჟამად „იმერიაში" ამ კაცის 8-9 აღზრდილი ირიცხება. ბავშვთა ფეხბურთს აქედანვე დიდ ყურადღებას მივაქცევთ. „იმერიაში" ადგილობრივი ფეხბურთელები უნდა სჭარბობდნენ. სხვაგვარად გაგვიჭირდება.

მამუკა კვანტალიანი

## «სიტი» მეხუთე რაუნდში

შუა კვირაში ევროპის ქვეყნებმა თასის გათამაშებისთვის მოიცალეს. ბედად, ამინდიც მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი გამოდგა, თუმცა ჰოლანდიისა და ბელგიის ნაკრებთა თამაში სწორედ დიდთოვლობის გამო ჩაიშალა.

ინგლისში ორივე, ლიგისა და ასოციაციის ანუ ნაღდი თასის მორიგი მატჩები გაიმართა. „მანჩესტერ სიტიმ" ოთხშაბათს ასოციაციის თასის მეოთხე წრის გადათამაშებაში კლაფისა და ქუინის გოლებით 2:1 დაამარცხა „ქოვენთრი", მეხუთე წრეში (ჩვენებურად, მერვედფინალში) გავიდა და ახლა ზეგ, „ოლდ ტრაფორდზე" თანაქალაქელ „იუნაიტედს" შეხვდება. გასული წრის უპირველესი სენსაცია თასის ახლანდელი მფლობელის, „ევერტონის" მარცხი იყო. ამან გუშინწინ გადათამაშება დათმო „პორტ ვეილთან" 1:2. ასევე გამოეთიშა თასისთვის ბრძოლას „ვესტ ჰემი", რომელიც მეორედივიზიონელმა „გრიმსბიმ" 3:0 გაანადგურა. ამით „ბომონდის" წარმომადგენელთათვის სირცხვილისჭმევა მორჩა, ვინაიდან „საუთჰემპტონმა" „კრუს" მოუგო, „ნოტინგემმა" კი „ოქსფორდს", თუმცა გათამაშებას კიდევ ორი პრემიერლიგელი გამოაკლდა: „მიდლსბრომ" ლონდონში „უიმბლდონთან" წააგო, „ბოლტონმა" კი შინ „ლიდსთან". ორივე შეხვედრა 1:0 დამთავრდა. მერვედფინალის ექვსი წყვილი უკვე გაირკვა. მანჩესტერული დერბის გარდა ცნობილია, რომ „ნოტინგემი" „ტოტენჰემს" უმასპინძლებს, „ლიდსი" — „პორტ ვეილს", „სვინდონი" — „საუთჰემპტონს", „ჰადერსფილდი" — „უიმბლდონს" და „გრიმსბი" — „ჩელსის".

„ლიდს იუნაიტედმა" ამ დღეებში მეორე, ლიგის თასის შეხვედრაც გამართა და ისიც წარმატებით — „ბირმინგემ სიტი" სტუმრად 2:1 დაამარცხა. ამ თასზე ახლა ნახევარფინალები ტარდება, აქ კი ორ-ორი მატჩია ჩასატარებელი. ახლა „ლიდსი" შინ მიიღებს „ბირმინგემს" და ფინალში გასვლასაც, ალბათ, იქ დააფიქსირებს. მეორე ნახევარფინალში „არსენალმა" შინ „ასტონ ვილას" ვერ მოუგო — 2:2.

ესპანეთში სამეფო თასის მეოთხედფინალის საპასუხო შეხვედრები გაიმართა. სამშაბათს „ვალენსიამ" მიიატოვიჩის ორი გოლით „სევილია" დაამარცხა და ორი მატჩის ჯამში ნახევარფინალში გავიდა. ოთხშაბათს მას მიჰყვნენ „ბარსელონა", ვინც სტუმრად 2:2-ის მერე შინ მესამელიგელი „ნუმანსია" 3:1 დაამარცხა და „ესპანიოლი", რომელმაც სარაგოსაში 1:1 გაახერხა და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გაიმარჯვა. მეოთხე მატჩი „ატლეტიკოსა" და „ტენერიფეს" შორის წუხელ გაიმართა.

იტალიაშიც ერთი ნახევარფინალი გუშინ გვიან შედგა და ვერც იმის ანგარიშს გაცნობებთ, ოთხშაბათს კი „ბოლონიამ" შინ „ატალანტა" მიიღო და 1:1 ითამაშა. აქ ჯერ პირველი მატჩებია და ყველაფერი იქითა კვირას გაირკვევა.

საფრანგეთში კი ლიგის თასის ნახევარფინალები ერთმატჩიანია. გუშინწინ „ლიონმა" შინ „კანს" 1:0 მოუგო, „მეცმა" კი სტუმრად „გინგამი" 2:1 დაამარცხა. ფინალი 6 აპრილს „პარკ დე პრენსზე" შედგება და მისი გამარჯვებული უეფას თასის საგზურს მიიღებს.

## ფოგთსის [illegible]

გერმანიის ნაკრებს ორი დებიუტანტი ჰყავს: „ჰამბურგის" ნახევარმცველი იორგ ალბერტცი და იტალიის „უდინეზეს" თავდამსხმელი ოლივერ ბირჰოფი. ეს მოთამაშეები ბერტი ფოგთსმა 21 თებერვლის მატჩისთვის, პორტუგალიასთან სათამაშოდ გამოიძახა. ეს წლეულს გერმანელთა პირველი ამხანაგური შეხვედრა იქნება. ახალწვეულთა გარდა შეკრებაზე დაიბარეს: მეკარეები — ოლივერ კანი, შტეფან კლოსი და ანდრეას კეპკე; მცველები — მარკუს ბაბელი, თომას ჰელმერი, იურგენ კოლერი, შტეფან როიტერი, მათიას ზამერი, კრისტიან ვერნსი; ნახევარმცველები — მარიო ბასლერი, შტეფან ბაინლიხი, მარკო ბოდე, დიტერ აილტსი, შტეფან ფროინდი, თომას ჰესლერი, ანდრეას მიოლერი, მეჰმეთ შოლი, თომას შტრუნცი, კრისტიან ციგე; თავდამსხმელები — ფრედი ბობიჩი, ულფ კირსტენი, იურგენ კლინსმანი, შტეფან კუნცი.

## ძნელია ტრაპობა

ჯოვანი ტრაპატონის არიგო საკის მოცილედ მიიჩნევდნენ იტალიის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობაზე. ტრაპატონისტებს არ გაუმართლათ. საკიმ ახლახან ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასთან ახალ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და 1998 წლამდე უთავკაცებს „სკუადრა აძურას".

იანვარში მიუნხენის „ბაიერნი" იტალიის კუნძულ სარდინიაზე ვარჯიშობდა. იქ 20 იანვარს, ამხანაგურ მატჩში ბავარიელები „კალიარის" შეხვდნენ. ეს ის თამაში იყო, იურგენ კლინსმანმა ფეხი რომ იტკინა და შეეშინდა, კაითუ, დიდი ხნით გამოვიდე მწყობრიდანო. მატჩის წინ „კალიარის" მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი მიუნხენის გუნდის ხელმძღვანელს ოტო რეჰაგელსა და სხვა ბაიერნელ ჩინოსნებს შეხვდა. ტრაპატონი ხომ შარშან თავად წვრთნიდა „ბაიერნს", ჰოდა, ძველ მეგობრებთან შეხვედრა საკმაოდ გულისამაჩუყებელი ყოფილა. მე კიდევ დავბრუნდები გერმანიაშიო, უთქვამს ცრემლმორეულ სინიორ ტრაპატონის.

გერმანიაში დაბრუნდება? კაცმა არ იცის, რა მოხდება. ის კი არა, თუ იტალიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე უხეიროდ ითამაშა, განა გამორიცხულია, რომ არიგო საკის ახალდადებული კონტრაქტი გაუუქმონ და მის ადგილზე ტრაპატონი დანიშნონ? მეორე მხრივ, რატომ უნდა გამოვიდეს ცუდად იტალიის ნაკრები ევროპის პირველობაზე?!

ასეა თუ ისე, ბებერ ჯოვანის ფიქრის დრო აქვს. აკი მოიცალა კიდეც ორიოდ დღის წინ, როდესაც „კალიარის" დაემშვიდობა. მისმა გუნდმა ტურინში „იუვენტუსთან" 1:4 წააგო. ეს გასვლაზე მეხუთე დიდი მარცხი იყო. მანამდე „კალიარიმ" „ინტერთან", „პარმასთან" და „ლაციოსთან" წააგო 0:4, „ბარისთან" კი 0:3.

მოკლედ, „ტრაპი" ახლა უმუშევარია და შეუძლია მომავალზე ფიქრთან ერთად ძველი დიდებაც გაიხსენოს. ასეთი კი ბებერს იმდენი ჰქონდა, რომ...

## რუსეთში გადასახლება გრძელდება

ბორის „დილას" დაცვის ბურჯებმა ვაჟა თარხნიშვილმა და გიორგი ბალაშვილმა სასურველი გუნდის ძიებაში რუსეთს გასწიეს, ბევრი იმოგზაურეს და საბოლოოდ სარატოვში ჩამოხდნენ. იქაური გუნდის ხელმძღვანელობას ორივე მოსწონებია და დაუტოვებია კიდეც. ასე რომ, სარატოველ შევარდნებს ახალი სეზონიდან ორი ქართველი შეემატება.

კისლოვოდსკში შეკრებაზე მყოფმა „კამაზმა" ბოლო საკონტროლო თამაში ჩაატარა „კავკაზკაბელთან" და დიდი ანგარიშითაც — 3:0 დაამარცხა. „კამაზის" ახალწვეულმა სოსო ჭედიამ ორივე ტაიმი ითამაშა.

სოჭის „ჟემჩუჟინამ" ვოლჟსკის „ტორპედოსთან" საკონტროლო შეხვედრაში 1:0 გაიმარჯვა. აწ უკვე სოჭელებმა დავიდ ჯანაშიამ და ზურაბ იონანიძემ შეუცვლელად ითამაშეს.

თუ ასე გაგრძელდა, ქუთაისის „ტორპედოსგან" მარტო სახელიღა დარჩება და საკითხავია, ეროვნულ ჩემპიონატში ვილას გამოიყვანს? აშვეთიას მოსკოვური ვოიაჟის შედეგს უკვე გაეცნობოდით. გუნდის თავი მამუკა ხუნდაძეც რუსეთშია და სტავროპოლის „დინამოში" თამაშს ლამობს. თანაგუნდელებს მცველი ალექსანდრე შეყრილაძეც შეუამხანაგდა და ბედის საძიებლად მანაც რუსეთს მიაშურა. სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ამასვე აპირებს „ტორპედოს" კიდევ რამდენიმე მოთამაშე.


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, [illegible]6-71




## ლივერპულში გლოვაა

ოთხშაბათს გარდაიცვალა 70-80-იანი წლების უგამოჩენილესი მწვრთნელი ბობ პეისლი. მისი სახელი მხოლოდ ერთ კლუბთან — „ლივერპულთანაა" დაკავშირებული. 1939-54 წლებში პეისლი ამ გუნდში თამაშობდა, 1974 წლის ივლისიდან კი „ლივერპულის" მწვრთნელი გახდა და 1983 წლამდე 12 სხვადასხვა ტიტული მოაპოვებინა. პეისლის მწვრთნელობისას „ლივერპული" ექვსჯერ (1976, 77, 79, 80, 82, 83) გახდა ინგლისის ჩემპიონი, სამჯერ (1977, 78, 81) ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვა, თითოჯერ კი — ქვეყნის თასი (1974), უეფას თასი (1976) და სუპერთასი (1977). 23 იანვარს პეისლი 77 წლის გახდა. სამიოდ კვირაში კი ხალხი „ენფილდზე" შეიკრიბა, რათა დიდი მწვრთნელისთვის უკანასკნელი პატივი მიეგო.

# სალუქვაძის «სამაია»

შანსი სამი იყო, მონაწილე — ბევრი, ქართველი — ერთი. ამანაც ერთი არ აცილა (ამ შანსებს) და სამივე მოარტყა...

ამ დღეებში დანიის ქალაქ ორჰუსში დასრულდა ბალტიის თასის მეოთხე გათამაშება პნევმატური იარაღიდან სროლაში. 17 ქვეყნის 200 მსროლელში საქართველოს ნინო სალუქვაძე წარმოადგენდა. მოასპარეზენი სამ ვარჯიშში გაეჯიბრეს ერთმანეთს, ნინომ სამივეში ივარგა და სამი ოქროს მედალიც მიითვალა.

I სტარტი: ნინო სალუქვაძე (საქართველო) — 484.2, სიუზან მეერჰოფი (დანია) — 482.7, მარტიგ სტეინი (გერმანია) — 479.8

II სტარტი: ნინო სალუქვაძე — 488.6, მარტიგ სტეინი — 481.9, შარლოტ ლინდი (დანია) — 478.4

III სტარტი: ნინო სალუქვაძე — 490.0, დორის ბუკარდი (შვედეთი) — 484.6, მეეგრიტ ჰიორსტჰეი (დანია) — 480.0

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: აშშ; საქართველო; გერმანია.

დაასახელეს ამ თასის გათამაშების საუკეთესო მსროლელები შაშხანასა და პისტოლეტში.

პისტოლეტი: ნინო სალუქვაძე, ჰანს იურგენ მიუმაიერი (გერმანია), უვე პოტეკი (გერმანია). შაშხანა: რასმუს ლინდი (დანია), ჯეიმს ლიკმანი (აშშ), ქრისტოფერ აბერგი (შვეცია).



# გულიაშვილი ბულგარეთში მეორეა

ევროპის ჩემპიონატისთვის, სადაც ატლანტის ლიცენზიები გათამაშდება, ემზადებიან ქართველი თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები. „თავისუფლები" ამჟამად ბორჯომში არიან შეკრებაზე, 22 თებერვალს კი კიევში ჩაებმებიან საერთაშორისო ტურნირში. შემდეგ რუსეთში, სავარაუდოდ, პოდოლსკში წავლენ შეკრებაზე. ამასობაში კი ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატიც დაიწყება (21-24 მარტი).

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეები კი 10-11 თებერვალს სოფიაში მონაწილეობდნენ პეტროვის სახელობის დიდ საერთაშორისო ტურნირზე. უკანა გზაზე ჩვენები თურქეთის გავლით მოდიოდნენ, მაგრამ უამინდობის გამო 13 თებერვალს დასაბრუნებელმა გუნდმა გუშინ საღამოს ჯერ კიდევ ვერ ჩამოაღწია თბილისს. ის კი ნამდვილად ვიცით, რომ სოფიის ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა კობა გულიაშვილმა (62კგ). კობა ჭიჭველიშვილი (100კგ) კი მეოთხე ადგილზე გავიდა. სულ ბულგარეთში 7 ჩვენი მოჭიდავე იყო წასული.

„ბერძენ-რომაელები" ევროპის ჩემპიონატამდე (ბუდაპეშტი, 27-30 მარტი) ორ შეკრებას გაივლიან რუსეთში — ერთს კისლოვოდსკში, მეორეს — პოდოლსკში.

# ატლანტაში ურუსებოდ

გუშინწინ ატლანტაში გაიმართა ოლიმპიადის ვაჟ კალათბურთელთა ტურნირის წილისყრა. ერთ ჯგუფში მოხვდნენ: აშშ (მესამე „საოცნებო გუნდი"), ხორვატია, ლიტვა, არგენტინა, ჩინეთი და ანგოლა, მეორეში — ბრაზილია, იუგოსლავია, საბერძნეთი, პუერტო-რიკო, ავსტრალია და კორეა.


# საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

მატჩების სია-ტირაჟი № 18 (17-19 თებერვალი)

| | |
|---|---|
| 1. მილანი — ბარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. ნაპოლი — იუვენტუსი | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. პარმა — პადოვა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. ლაციო — რომა | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. ესპანიოლი — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6. ოვიედო — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7. რეალი — ვალენსია | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 17 თებერვალს 16.00 სთ-ზე.

მე-17 ტირაჟის შედეგები

1. 0-1 2. 4-1 3. 1-0 4. 4-0 5. 0-1 6. 3-0 7. 1-1

მოგებები: ხუთი, ექვსი, შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT შესაბამისად 210, 1500 და 2560 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. სარეზერვო ფონდი 550 ლარი.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

ტირაჟების ანონსი ქვეყნდება აგრეთვე გაზეთებში: „საქმოსანი", „7 დღე".


# ძიუდოისტები ევროპას მოედებიან

მომავალი ოთხშაბათიდან ქართველი ძიუდოისტები ევროპას მოედებიან და ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის შარშან დეკემბერში დაწყებულ ფიცხელ ბრძოლას გააგრძელებენ. ისინი ხუთ ან ექვს ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, შემდეგ საქართველოში ჩამოვლენ და ევროპის ჩემპიონატისთვის გააგრძელებენ მზადებას. ამ ტურნირებისა და სალიცენზიო ქულების დარიცხვის შესახებ ქვემოთ გაცნობებთ, ახლა კი ჩვენი ფალავნების მდგომარეობაზე.

ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ბერდია გუგავამ თბილისში ორკვირიან შეკრებაზე 14 ძიუდოისტი იხმო. ამ შეკრებას არ ესწრება მხოლოდ დავით ხახალეიშვილი, რომელსაც ჯერ ტრავმები ჰქონდა, მერე კი ოჯახურმა მიზეზებმა შეუშალეს ხელი. მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით გიორგი ვაზაგაშვილი ინდივიდუალური გეგმით შინ, სოფელ ფლავში ემზადება და თბილისში მხოლოდ საკონტროლო შეხვედრების დროს ჩამოდის. დანარჩენები კი თბილისში, სასტუმრო „პაგრანიჩნიკში" ცხოვრობენ და სავარჯიშოდ ვაკეში, ძიუდოს სასახლეში დადიან. შეგახსენებთ, რომ ლიცენზიები მოპოვებული აქვთ ხახალეიშვილს (მძიმე), ვაზაგაშვილს (60 კგ) და სოსო ლიპარტელიანს (78 კგ).

ერთ-ერთი ასეთი ზემოთ ნახსენები საკონტროლო შეხვედრები ამ ბოლო ჯერზე ოთხშაბათს, 14 თებერვალს გაიმართა. ვაზაგაშვილი ჩამოვიდა და ყველა სპარინგ-მეტოქეს წმინდად მოუგო. ამ ვარჯიშს მრავლად დაესწრნენ ჭიდაობის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, მოგვიანებით კი მათ სპორტდეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებიც შეუერთდნენ.

ამ შეკრების შემდეგ საქართველოს ნაკრები 21 თებერვალს წავა ევროპაში და იქიდან ან 27 მარტს, ანაც 10 აპრილს დაგვიბრუნდება. ბერდია გუგავას თქმით, თუკი ბოლო, ამსტერდამის ტურნირამდე ყველა მოჭიდავე დაგეგმილ ქულებს დააგროვებს, გუნდი ჰოლანდიაში აღარ წავა და მთელს ყურადღებას ევროპის ჩემპიონატზე გადაიტანს. წინაამდეგ შემთხვევაში, ჩვენები ტიტების ქვეყანაშიც შეივლიან. აღსანიშნავია, რომ ტურნირებს შორის პერიოდში ძიუდოისტები იმავე ქვეყნებში მცირეხნიან შეკრებებს გაივლიან.

ევროპაში რვა ძიუდოისტი მიემგზავრება: გიორგი ვაზაგაშვილი (60 კგ), გიორგი რევაზიშვილი, ამირან ტოტიკაშვილი (ორივე — 65 კგ), სოსო ლიპარტელიანი (78 კგ), გიორგი წმინდაშვილი, ივერი ჯიქურაული (ორივე — 86 კგ), დავით ხახალეიშვილი, ალექსი დავითაშვილი (ორივე — მძიმე). თითოეულ ტურნირზე ქართველებს შვიდი ძიუდოისტის გამოყვანა შეუძლიათ. არც ისაა გამორიცხული, რომ ამ „ევროპულ ტურნეს" დროს რამდენიმე ფალავანი საქართველოდან გამოიძახონ და რომელიმე შეჯიბრებაში გამოიყვანონ.

ქართველებს შემდეგი ტურნირები ელით:

24-25 თებერვალი. მიუნხენი (გერმანია)

2-3 მარტი. ბუდაპეშტი (უნგრეთი)

9-10 მარტი. პრაღა (ჩეხეთი)

16-17 მარტი. ვარშავა (პოლონეთი)

23-24 მარტი. რომი (იტალია)

6-7 აპრილი. ამსტერდამი (ჰოლანდია)

ევროპის ჩემპიონატი 16-19 მაისს გაიმართება ჰოლანდიის დედაქალაქ ჰააგაში.

სალიცენზიო ტურნირებში ძიუდოისტებს დაკავებული ადგილების მიხედვით შემდეგი რაოდენობის ქულები ერიცხებათ: 1 — 180, 2 — 190, 3-4 — 117, 5-6 — 75, 7-8 — 50, 9-10 — 27, 11-18 — 18.

ევროპის ჩემპიონატზე ქულები ორმაგდება: 1 — 560, 2 — 380, 3-4 — 234, 5-6 — 150, 7-8 — 100...



ათი წელია, დეტლეფ შრემპფი NBA-ში და ევროპელთაგან რეკორდსმენიც შეიქმნა. ამით — ამდენი ხანი ამერიკაში ვერცერთმა ოკეანისგამოღმელმა ვერ მოიკიდა ფეხი. 1992 წელს კი გერმანელი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედაც აღიარეს. ამ ინტერვიუში შრემპფი თავისი გუნდის „სიეტლ სუპერსონიქსის" პრობლემებზე და მომავალ გეგმებზე საუბრობს.

# აგრესიულობა ჩემპიონობის საწინდარია



— „სუპერსონიქსი" დღითი-დღე უმატებდა და ამჟამად დადებითი ბალანსიც აქვს. თქვენ ფეხის ტრამვის გამო რამდენიმე კვირით გამოაკლდებით ჩემპიონატს. როგორ შეაფასებდით ამჟამინდელ ვითარებას?

— ისე კარგად მაინც ვერ ვთამაშობთ, როგორც შეგვიძლია. იმ მატჩებს ვგულისხმობ, რომლებშიც გამოვედი. დაცვაში საკმაოდ კარგად ვირჯებოდით, მაგრამ ფარიდან ასხლეტილ ბურთებს ვკარგავდით და საკმარის ქულებს ვერ ვაგროვებდით. მიუხედავად ამისა, გუნდში ჩინებული ურთიერთგაგებაა, უთანხმოების ჟამმა ჩაიარა და ახლა ვამოცდილთ და ახალგაზრდებს შორის სრული სათამაშო ჰარმონიაა.

— ეს ჰარმონია ეტყობა მხოლოდ საშინაო მატჩებში სუფევს, რადგან სტუმრად უმეტესწილად მარცხდებით.

— ხანგრძლივი მგზავრობები ჩვენზე ცუდად მოქმედებს. თანაც გასვლაზე ნაკლებად აგრესიულად ვთამაშობთ. ეს კი უნდა გამოვასწოროთ.

— წელს მაინც თუ შეძლებს „სუპერსონიქსი", დაძლიოს ფლეი-ოფის პირველი ეტაპი და, ვთქვათ, ჩემპიონიც კი გახდეს?

— ჩემი აზრით, ჯერ არაფრით გამოგვიჩენია თავი. თუ გამოცა, მხოლოდ „საკრამენტომ", მაგრამ საბოლოოდ მაინც ის გუნდები იბრძოდნენ ჩემპიონობისთვის, რომლებიც ამ ბოლო წლებში დომინირებდნენ. ჩვენ იმდენივე შანსი გვაქვს, რამდენიც სხვებს. უბრალოდ, ფლეი-ოფში, თუ მანამდე მივედით, უკეთ უნდა ვითამაშოთ.

— თქვენი გუნდი ფლეი-ოფის ბოლო ორ გათამაშების პირველივე წრეში გამოვარდა. გადალახავთ ფსიქოლოგიურ ბარიერს?

— ეს არ მაღელვებს. შარაშან სუპერ-სეზონი გვქონდა, ჩინებულად ვთამაშობდით, ფლეი-ოფში კი სუსტი თამაშის გამო დავმარცხდით და მთელი წლის შრომა წყალში ჩაგვეყარა. რა თქმა უნდა, გულსატკენია, მაღალ დონეზე ჩაატარო 82 მატჩი და ბოლოს სამარცხვინოდ წააგო.

— ფლეი-ოფში წარუმატებლობის მიუხედავად კლუბის ხელმძღვანელობამ გაამართლა მწვრთნელი ჯორჯ კარლი და არ გაანთავისუფლა თანამდებობიდან. სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?

— დიახ. ჯორჯ კარლი კარგი მწვრთნელი, ოღონდ მომავლის ხედვა აკლია, ისევე, როგორც ჩვენ — მოთამაშეებს. წინა სეზონიდან ყველამ რაღაც უნდა ვისწავლოთ.

— შესაძლებელია, გახდე NBA-ის ჩემპიონი, თუ გუნდში სუპერ-ვარსკვლავი არ გყავს? ბოლო წლებმა დაგვანახა, რომ ჩემპიონი ის გუნდი ხდებოდა, რომელსაც განუმეორებელი ცენტრი ჰყავდა.

— ეს ძალიან ძნელია. ახლა NBA — ში ძალიან ცოტაა კარგი ცენტრი, მათი ჩამოთვლა ერთი ხელის თითებზე შეიძლება. იმ გუნდებმა, რომელთაც სახელოვანი ცენტრი არ ჰყავთ, სხვა ტაქტიკას უნდა მიმართონ. ჩვენი თამაშის სქემა ამის სანიმუშო მაგალითია. იგი უნდა დავხვეწოთ და ეს, ვფიქრობ, წარმატებას მიგვაღწევინებს. თუ ძლიერი ცენტრი არ გყავს, მის გარეშე უნდა გაიტანო თავი.

„შპორტ-ბილდიდან" თარგმნა
ერეკლე კიკილაშვილმა.


ტურისტული სააგენტო

**GIO-94**

გეპატიჟებათ ბულგარეთის სახელგანთქმულ სამთო-სათხილამურო კურორტებზე. თქვენ გელით მაღალი კლასის სასტუმროები და უმაღლესი სერვისი. იჩქარეთ!

ჩვენი მისამართია: ლესელიძის № 18 ტელეფონი 98-23-56

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. მე-19 ტური
16 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ლევერკუზენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ნაინტრაზტი — ურდინგენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ჰანზა — შალკე | 1,.4 | 2,8 | 4,4 |

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერდერი — ჰამბურგი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ბაიერნი — კარლსრუე | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| შტუტგარტი — მიუნხენ 1860 | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ზანქტ-პაული — ფრაიბურგი | 1,6 | 2,6 | 3,6 |

ინგლისის ჩემპიონატი. 27-ე ტური
17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ასტონ ვილა — ბლექბერნი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ჩელსი — ვესტ ჰემი | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ლიდსი — ტოტენჰემი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ლივერპული — უიმბლდონი | 1,1 | 3,1 | 9,0 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ევერტონი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| მიდლსბრო — ბოლტონი | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ნიუკასლი — საუთჰემპტონი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ნოტინგემი — ქოვენთრი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| შეფილდი — ქუინზ პარკი | 1,2 | 3,0 | 6,5 |

საფრანგეთის ჩემპიონატი. 28-ე ტური
17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლანსი — ნანტი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| რენი — ოსერი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| მონპელიე — ბორდო | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ლე ავრი — ლილი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| კანი — ბასტია | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| სტრასბური — პარი სენ-ჟერმენი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| მონაკო — სენტ-ეტიენი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ლიონი — ნიცა | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| გენიონი — გინგამი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| მეცი — მარტიგი | 1,1 | 3,2 | 8,0 |

ესპანეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური
17-18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — ბეტისი | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| ოვიედო — ბარსელონა | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| რეალი — ვალენსია | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| რაიო ვალეკანო — კომპოსტელა | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| სარაგოსა — სალამანკა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მერიდა — ტენერიფე | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვალიადოლიდი — ალბასეტე | 1,8 | 3,0 | 2,5 |
| დეპორტივო — სოსიედადი | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| სელტა — სანტანდერი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ესპანიოლი — ატლეტიკო | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| სევილია — სპორტინგი | 1,3 | 3,0 | 5,0 |

იტალიის ჩემპიონატი. 22-ე ტური
18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კალიარი — სამპდორია | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| კრემონეზე — ფიორენტინა | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| ლაციო — რომა | 2,2 | 2,6 | 2,2 |
| მილანი — ბარი | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| ნაპოლი — იუვენტუსი | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| პარმა — პადოვა | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| პიაჩენცა — ატალანტა | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| ტორინო — ინტერი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ვიჩენცა — უდინეზე | 1,6 | 2,6 | 3,6 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა:
იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | [illegible] | | | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | 2-0 | 3-2 | | | 0-0 | | | 1-3 | | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | 1-2 | | ■ | | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | | 0-0 | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | | 4-1 | 2-0 | | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | | 0-0 | | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | 1-2 | | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | | ■ | | | 1-0 | 0-1 | | | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | | 0-2 | | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | 2-0 | | | | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | | 1-0 | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | | 1-1 | | 2-0 | 0-1 | | 0-1 | | | | | | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | | 0-2 | | 1-1 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | | 2-0 | 2-5 | 1-1 | | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | | | | | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | | | 3-0 | | | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | | | | | | 2-4 | 4-1 | | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | | | 4-1 | 3-4 | | ■ | | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | | | 0-2 | 1-2 | | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | | 1-1 | | | | 1-2 | |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | | | 1-1 | |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | ■ | 1-0 | | | | 1-2 | |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | | 3-2 | 3-0 | | | ■ | | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | | 1-1 | |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | | | | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 2-1 | | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | | | | | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | | | 2-2 | | 1-1 | | 1-1 | | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | | ■ | | | 3-3 | | 0-0 | | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | | 2-0 | 2-2 | | | 1-0 | 2-1 | | | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | | | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | | 3-2 | | | | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | | | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | | ■ | 3-2 | | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | ■ | 3-1 | | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | | 3-0 | | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | | 1-0 |
| 17 | UDINESE | | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | | | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | | 3-0 | 5-2 | | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | | 1-1 | 2-0 | | | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | | 2-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | | 1-2 | 1-0 | | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| | SHEFFIELD WEDNESDAY | | | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | | | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | [illegible] SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | T[illegible]TENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | | | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | | | 1-1 | 3-2 | | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# მე ბოსნიას რა მინდოდა...



**ფიდეს ბოლო რეიტინგ-ლისტში (1 იანვარი, 1996) დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი მეჩვიდმეტეა მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა ასეულში. მისი რეიტინგია 2660 და რა გასაკვირია, რომ ხშირად იწვევენ პრესტიჟულ ტურნირებში. ამიტომაცაა, რომ მისი თბილისში მოხელთება ერთობ ძნელი საქმეა.**

**ამას წინათ ზურაბ აზმაიფარაშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან შინ ორიოდე დღით დაბრუნდა. ამჟამად კი ესპანეთშია, დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირზე. სწორედ ესპანეთში გამგზავრების წინ ვესაუბრე მას.**

**— წლევანდელი საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც სექტემბერ — ოქტომბერში უნდა მოეწყოს ერევანში, დიდი მოვლენაა საჭადრაკო ცხოვრებაში. საქართველოს ოლიმპიური გუნდები უკვე შეუდგნენ მზადებას. ამბობენ, რომ თქვენ შეიძლება ვერ მიიღოთ მონაწილეობა ოლიმპიადაში საქართველოს სახელით, რადგან ამჟამად არ ხართ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი. გთხოვთ, გაგვარკვიოთ სიტუაციაში...**

— მდგომარეობა მართლაც საჭოჭმანოა. დღეს მე ვითვლები ბოსნიის ჭადრაკის ფედერაციის წევრად. საჭიროა საქართველოს ოლიმპიურ გუნდში ჩემი დაბრუნების საკითხის მოგვარება. ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ, იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება.

ყველაფერი დაიწყო 1994 წლის დასაწყისში. სარაევოს საკლუბო გუნდის კაპიტანმა, ცნობილმა ბიზნესმენმა, საერთაშორისო ოსტატმა ქემალ ოსმანოვიჩმა მთხოვა მონაწილეობა მიმეღო ევროპის საკლუბო გუნდების თასის გათამაშებაში „ბოსნას" სახელით. უარი არ მითქვამს, კარგი პირობები შემომთავაზეს. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანხმობით დროებით გავხდი ბოსნიის ჭადრაკის ფედერაციის წევრი. გუნდში მეორე ლეგიონერი გარი კასპაროვი იყო და „ბოსნას" გამარჯვების ნაღდი შანსი გაუჩნდა. კიდეც მოვიგეთ თასი. მერე ბოსნიელებმა მეცადინეობის და დასვენების შესანიშნავი პირობები შემიქმნეს. ორჯერ ოჯახით მიმიწვიეს დასასვენებლად ადრიატიკის ზღვაზე, ერთხელ კასპაროვის ოჯახთან ერთად. ბოსნიელთა ხელშეწყობით მოვემზადე მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირისთვის და მათი სახელით, რა თქმა უნდა, ჩვენს ფედერაციასთან შეთანხმებით, ვითამაშე ზონალურ ტურნირში, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ეს იყო შარშან მაისში. სწორედ მაშინ გამოცხადდა, რომ საზონათშორისო ტურნირში პერსონალურად დაუშვებიან მაღალი რეიტინგის მქონე ჩემნაირი მოჭადრაკეები. ცხადია, მერჩია საზონათშორისო ტურნირში საქართველოს სახელით გამოვსულიყავი, ამიტომ ვთხოვე ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას, ეს საკითხი სექტემბრამდე გაერკვიათ ფიდეში, რათა დროულად დაბრუნებულიყავი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში და კვლავ გავმხდარიყავი საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრი. საქმე ისაა, რომ ფიდეს წესებით საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ იმ მოჭადრაკეებს, რომლებიც ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის ერთი წლის წევრები არიან, მაგრამ საკითხის გარკვევა დღემდე გაგრძელდა. როგორც ამიხსნეს, ფიდემ ვერ შეადგინა პერსონალურად მისაწვევი დიდოსტატების სია, რაკი ვერ შეთანხმდნენ იმაზე, ფიდეს თუ პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაციის რეიტინგ-ლისტის მიხედვით შეედგინათ იგი. ამასობაში, შარშან დეკემბერს, ფიდეს ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა მსოფლიო პირველობის გათამაშების ახალი სისტემა შემოიღო და დღის წესრიგიდან მოიხსნა საზონათშორისო ტურნირის გამართვა. ამ ამბების გამო შემოვრჩი ბოსნიის ჭადრაკის ფედერაციის წევრად. ცხადია, არ მსურს ვითამაშო ბოსნიის ოლიმპიურ გუნდში. ეს იციან ბოსნიელებმა და თანახმა არიან დავუბრუნდე ჩემს მშობლიურ გუნდს. მაგრამ, როგორ მოვუაროთ ფიდეს ზემოხსენებულ წესს? ჩვენი ფედერაციის მესვეურები არ ჰკარგავენ იმედს. ალბათ, თვით ფიდეში მოგვარდება ეს საკითხი. ბოლოსდაბოლოს, განა თვით ფიდეს მესვეურთა გამო არ შეგვექმნა სიძნელეები...

**— ახლახან ამერიკიდან ჩამოხვედით. იქ რომელ ტურნირში მონაწილეობდით?**

— ამჯერად სამეცადინოდ ვიყავი მიწვეული. ვეხმარებოდი ცნობილ ტელეკომენტატორს მორის ეშლის. იგი საერთაშორისო ოსტატია, დიდოსტატის ერთი ბალიც აქვს. ეშლი ზანგია და ოცნებობს გახდეს პირველი ზანგი დიდოსტატი. როგორც ამბობს, ეს მას დიდ ფულს მოუტანს. ამიტომაც თავგამოდებით ეუფლება ჭადრაკის საიდუმლოებებს.

**— კარგა ხანს თქვენ გარი კასპაროვის მწვრთნელთა დასში იყავით. თქვენი „დირიჟორობით" მან სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ახლა თუ წვრთნით ვინმეს?**

— 1995 წლის ივლისიდან იუდით პოლგართან ვარ. ხშირად ვაკითხავ ბუდაპეშტში. 19 წლის იუდითი უაღრესად ნიჭიერი და საოცრად შრომისმოყვარეა. ჩვენმა მუშაობამ სწრაფად გამოიღო სასურველი შედეგი: იუდითმა 40 ერთეულით აიმაღლა რეიტინგი. ახლა მას ჩემზე უკეთესი რეიტინგი აქვს — 2675. ვფიქრობ, იგი კიდევ ამაღლდება, წარმატებებიც იმრავლებს. ალბათ იცით, ამჟამად იუდითი სეკუნდანობას უწევს თავის უფროს დას ჟუჟას ჩინელ მსოფლიო ჩემპიონ სე ჟუნთან მატჩში.

**— მწვრთნელობა ხელს არ გიშლის ტურნირებში მონაწილეობაში?**

— არა. დიდოსტატმა ბევრი უნდა ითამაშოს, მით უმეტეს, ჩვენს შეჭირვებულ დროში. სხვანაირად თავს ვერ გაიტან. მეც ხშირად ვმონაწილეობ ტურნირებში. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ნაკლებად ეწყობა მეცამეტე-მეთხუთმეტე კატეგორიის ტურნირები, სადაც მაღალი პრიზები ინიშნება.

**— ახლა ბევრს ლაპარაკობენ ვაჟთა მსოფლიო პირველობის ახალ სისტემაზე, რომელიც ფიდეს ახალმა პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა შემოიღო. საინტერესოა თქვენი აზრი, მაგრამ მანამდე კირსან ილუმჟინოვზე, თუ იცნობთ მას?**

— კირსან ილუმჟინოვს ორჯერ შევხვდი გარი კასპაროვის ოჯახში. მაშინ იგი არ ყო ფიდეს პრეზიდენტი, მაგრამ, როცა გავიგე, ფიდეს პრეზიდენტობა სურსო, ერთ წუთსაც არ დავეჭვებულვარ: რაკი მოინდომა, აუცილებლად გახდება-მეთქი. გახდა კიდეც. იგი ძლიერი პიროვნება, გენიალური ბიზნესმენი და დიდად განათლებული ადამიანია: დამთავრებული აქვს მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი, იცის ევროპული ენები და იაპონურიც. კაცს 34 წლის ასაკში მეორედ რომ აირჩევენ ყალმუხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, ბევრს ნიშნავს. მჯერა, ილუმჟინოვი სწორედ ის მოღვაწეა, რომელიც ახლა სჭირდება ჭადრაკის წინსვლა-განვითარებას.

**მიუხედავად... პირველობის ახალ სისტემაში კი არ მომწონს ის, რომ ყოველ წელს ახალი ჩემპიონ გვეყოლება. ჩემპიონი ხშირად არ უნდა იცვლებოდეს. მსოფლიო პირველობის ისტორია 1886 წლიდან იწყება და ამ 110 წლის მანძილზე მხოლოდ 13 ჩემპიონი გვყავდა. ახლა როგორღა იქნება?**

— ჩემი აზრით, თვით სისტემასაც აქვს ხარვეზები. ფიდეს პრეზიდენტმა სთხოვა დიდოსტატებს, გამოთქვით შენიშვნები სისტემის დასახვეწადო.

შეგახსენებთ ამ სისტემის არსს. პირველობა გაიმართება ყოველ წელს ოლიმპიური სისტემით: წაგებული გამოეთიშება ბრძოლას. მეტოქენი ერთმანეთს შეხვდებიან მინი-მატჩებში, რომლებშიც ორორი პარტია გათამაშდება. ყაიმის შემთხვევაში გათამაშდება დამატებითი პარტიები სწრაფ ჭადრაკში. ბრძოლას 68 მოჭადრაკე დაიწყებს, ისინი, ვისაც საზონათშორისო ტურნირში უნდა მიეღო მონაწილეობა. აქ გამოვლენილ 34 მოჭადრაკეს დაემატება 30. ესენი იქნებიან მსოფლიო პირველობის წინა ციკლის პრეტენდენტები, 20 წლამდე ასაკის მსოფლიო ჩემპიონები და უმაღლესი რეიტინგის მქონე დიდოსტატები. ბოლოს აქ გამარჯვებული ორი მოჭადრაკე, კასპაროვი და კარპოვ — კამსკის მატჩში გამარჯვებული შეხვდებიან ერთმანეთს ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებში. ფინალში მეტოქენი ოთხ პარტიაში გაარკვევენ მსოფლიო ჩემპიონის ვინაობას.

მიუღებლად მიმაჩნია გათამაშების დასკვნითი ეტაპი, სხვა ხარვეზებზე რომ არაფერი ვთქვა. ძირითად ტურნირში ორი გამარჯვებული რომ გამოვლინდება, ჩემი აზრით, მათ უნდა დაემატოს ინდოელი ანანდი, როგორც მსოფლიო პირველობის ბოლო მატჩის მონაწილე და კარპოვ — კამსკის მატჩში დამარცხებული. აი, მათ შორის ორ გამარჯვებულს დაემატებიან კასპაროვი და კარპოვ — კამსკის მატჩში გამარჯვებული. ფინალურ მატჩში, ჩემპიონის გამოსავლენად რომ მოეწყობა, მინიმუმ 10 პარტია უნდა გათამაშდეს.

**— თქვენ და გია გიორგაძე, რომელსაც 2590 რეიტინგი აქვს, ალბათ მიიღებთ მონაწილეობას მსოფლიო პირველობაში. ადრე ქართველი მოჭადრაკე არასოდეს ყოფილა ამ გათამაშების მონაწილე.**

— მართალია. რა თქმა უნდა, დიდი პატივია მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის თამაში. ბევრს გვავალებს. არ დაგიმალავთ, მინდა, რომ ბრძოლაში მეორე ეტაპიდან ჩავებ. საქმე ისაა, რომ ამის უფლებას ჩემი რეიტინგი მაძლევს. ამით ძალებს დავზოგავ და წარმატების მეტი შანსი მექნება.

**— ხომ არ შეიცვალა პირველობის ვადები? იგი 21 დეკემბერს უნდა დაიწყოს და 1997 წლის 10 იანვარს დამთავრდეს. თუ იცით, ვინ იქნება მასპინძელი ქვეყანა და ქალაქი?**

— რეგლამენტი არ შეცვლილა. მასპინძელი ჯერ უცნობია.

თენგიზ გიორგაძე



საყოველთაო კომპიუტერიზაციამდე ჩოგბურთელთა კლასიფიკაციას მხოლოდ ერთხელ, წლის ბოლოს ადგენდნენ. ჩოგბურთის სპეციალისტები შეიკრიბებოდნენ, განიხილავდნენ საჩოგბურთო სეზონის შედეგებს და მოთამაშეებს კლასიფიკაციაში გარკვეულ ადგილს განუსაზღვრავდნენ. მას შემდეგ, რაც კომპიუტერი დამკვიდრდა, ამას უკვე მანქანა აკეთებს, თანაც არამარტო წლის ბოლოს, არამედ ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ტურნირის შემდეგ და ბედნიერია ის ჩოგბურთელი, რომელიც თუნდაც ერთი კვირით უდგას სათავეში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელების სიას. ეს ხდება 1973 წლიდან და ამ ხნის მანძილზე მხოლოდ 12 ჩოგბურთელი ედგა სათავეში მსოფლიო კლასიფიკაციას (თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სიები ყოველკვირეულად იცვლება, ეს, ალბათ, ცოტაა). ილიე ნასტასე (რუმინეთი), ჯონ ნიუკონბი (ავსტრალია), ჯიმი კონორსი (აშშ), ბიორნ ბორგი (შვედეთი), ჯონ მაკინროუ (აშშ), ივან ლენდლი (ჩეხსლოვაკია), მათს ვილანდერი (შვედეთი),

# მეცამეტე





თომასის დანიშნული მარიელა ტაინერი

მუსტერი და სარა ფერგიუსონი

სტეფან ედბერგი (შვედეთი), ბორის ბეკერი (გერმანია), ჯიმ კურიე (აშშ), პიტ სამპრასი (აშშ(, ანდრე აგასი (აშშ), და აი 12 თებერვლიდან, შეიძლება, ცოტა ხნით (პირველივე ტურნირი, რომელშიც აგასი ან სამპრასი მიიღებენ მონაწილეობას, მას პირველობას დააკარგვინებს), ავსტრიელი თომას მუსტერი. ახალი პირველი ჩოგნის გამოჩენა ის მოვლენაა, რის გამოც შეგვიძლია შევჩერდეთ ამ ჩოგბურთელზე.

ავსტრია არასოდეს ითვლებოდა საჩოგბურთო ქვეყნად. ჩოგბურთის ელიტაში კი არა, მის ასე თუ ისე სიახლოვესაც არ ყოფილა ავსტრიელი ჩოგბურთელი. ამიტომ, როდესაც 1988 წელს ავსტრიაში გამოჩნდა, ძლიერი ჩოგბურთელი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესოთა ოცეულში მოხვდა, ეს ქვეყანაში დიდ წარმატებად ჩათვალეს. 1989 წელი მუსტერისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ის სეზონი მან კარგად დაიწყო, იანვარში გახდა პირველი ავსტრიელი, რომელიც ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში მოხვდა, შემდეგ მსოფლიოს საუკეთესოთა ათეულში. მარტში კი-ბისკეინში ნახევარფინალში იანიკ ნოა დაამარცხა და ფინალში ივან ლენდლს უნდა შეხვედროდა, მაგრამ ეს ფინალი არ შედგა. როდესაც მუსტერი თავისი მანქანიდან სპორტულ ჩანთას იღებდა, უკნიდან ფეხებში ვიღაც მთვრალმა მანქანა დააჯახა. მუსტერმა მუხლის მძიმე ტრამვა მიიღო, საოპერაციო შეიქნა და ჩოგბურთელობა კი არა, ექიმები იმაზეც მსჯელობდნენ, ინვალიდი დარჩებოდა თუ არა. მუსტერმა ყველაფერი ვაჟკაცურად გადაიტანა და ექვსი თვის შემდეგ ტურნირში გამოვიდა. როცა ამ ამბავს იხსენებს, მუსტერი ამბობს, რომ დღესაც ვერ გაურკვევია: იმიტომ გახდა შემდეგში ასეთი ძლიერი, რომ ეს უბედურება გადაიტანა და სულიერად გამაგრდა, თუ ეს რომ არ ყოფილიყო, გაცილებით ადრე გახდებოდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ასე თუ ისე, შარშან 28 წლის ჩოგბურთელმა ფანტასტიურად ითამაშა, მოიგო 12 ტურნირი (მათ შორის საფრანგეთის ღია ჩემპიონატი) და მესამე ჩოგნად დაამთავრა წელი...

ჩოგბურთის მოყვარულები, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ მუსტერი სრულიად განსხვავებულია თამაშში და ცხოვრებაში. კორტზე მას ისეთი მრისხანე სახე აქვს, თითქოს ყველაფერს დაანგრევს, ამიტომაც შეარქვეს მეტსახელი მუსტერმინატორი. ცხოვრებაში კი ლაღი და მხიარული პიროვნებაა. ძალიან უყვარს მხატვრობა და მუსიკა. აქაც საკმაო გემოვნებით გამოირჩევა. მისი საყვარელი მხატვრები კანდინსკი და მირო არიან, საყვარელი კომპოზიტორი მოცარტი. ამასთან, თვითონაც უკრავს და ხატავს. მუსტერი პრინციპული კაცია და თავისი მკაცრად ჩამოყალიბებული შეხედულებები აქვს. ლაიბნიცში, მის მშობლიურ ქალაქში, საპატიო მოქალაქეობა შესთავაზეს. ლაიბნიცის საპატიო მოქალაქედ ადრე მხოლოდ ადოლფ ჰიტლერი ყოფილა. მუსტერმა კი უარი განაცხადა — არ სურდა მეორე ყოფილიყო, თუნდაც ჰიტლერის შემდეგ. მუსტერი ძალზე პირდაპირი ადამიანია ურთიერთობაში, თუმცა გარკვეული დისტანციის დაცვასაც მოითხოვს სხვებისგან. რადგან არ უყვარს, როდესაც მის საუფლოში იჭრებიან. როცა პოპულარული გახდა, გულშემატკივრები ისე გაუშინაურდნენ, მიმართვისას უბრალოდ „თომასს" უწოდებდნენ. მუსტერი ამაზე საშინლად ბრაზდებოდა: „[illegible] თომასი" ვარ, ის, რომ ჩოგბურთს კარგად ვთამაშობ, არ ნიშნავს, რომ მათი [illegible] ვარ. [illegible] და ასე მომმართონ: „მისტერ მუსტერ". მუსტერი რაციონალური პიროვნებაა. ამბობს, რომ თამაშის წინ ყველაფერი გათვლილი აქვს. ამან დიდ შედეგებს მიაღწევინა, თუმცა, ბევრი სპეციალისტის აზრით, მისი თამაშის სანახაობრივი მხარე დააზარალა. მაგალითად, ჩოგბურთის ცნობილი ვარსკვლავი, ესპანელი მანუელ სანტანა თვლის, რომ თანამედროვე ჩოგბურთში ნამდვილ, ლამაზ ჩოგბურთს ანდრე აგასი და ბორის ბეკერი თამაშობენ, ისეთი ჩოგბურთელები კი, როგორიც მუსტერი და გორან ივანიშევიჩია, მას საერთოდ არც აინტერესებს. მუსტერი კორტზე დაუნდობელია მეტოქის მიმართ, მაგრამ მსაჯებისგან მთელი კარიერის მანძილზე მხოლოდ სამი შენიშვნა მიუღია (ჯარიმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) მას არა ჰყავს მეგობრები ჩოგბურთელთა ბორის და ეჭვითაც უყურებს ასეთ სიახლოვეს. მისი ერთგული მეგობარი მისივე მწვრთნელი რონი ლაიცჰებია. „მე რომ რაიმე გავაკეთო, აბსოლუტურად უნდა ვიყო დარწმუნებული ამაში. ამიტომ, მარტო მე ვსაზღვრავ, როგორ ვიმოქმედო. სხვის რჩევებს და შენიშვნებს არ ვიღებ, ასეთი ეგოიზმი, ალბათ, ვნებს ჩემს ცხოვრებას, მაგრამ ჩოგბურთში კი მშვენივრად მადგება." მუსტერი ბევრს მუშაობს თავის თავზე და თვლის, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატებები ელოდება მიუხედავად იმისა, რომ წელს, 2 ოქტომბერს უკვე 29 წლის გახდება. „ბოლოსდაბოლოს, 28 წლისა ვარ და არა 58 — ის, ასე რომ, კიდევ ბევრი შემიძლია."

მუსტერისათვის შარშანდელი წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი მარიელა ტაინერზე დაინიშნა. ისინი მონტე-კარლოში ცხოვრობენ. მუსტერის თქმით, ამის მიუხედავად მისი ცხოვრების წესს ვერავინ შეცვლის. თავიდან მუსტერს მარიელა ყველა ტურნირზე დაჰყავდა, მაგრამ მერე განაცხადა, რომ ეს უშლის ხელს მობილიზებაში და ამიტომ მარიელა უფრო ხშირად სახლშია.

ახლახან ამ რომანს საფრთხე შეექმნა. როგორც ჟურნალისტებმა აუწყეს მკითხველებს, მუსტერმა, ყატარში პერცოგინის ქალი სარა ფერგიუსონი გაიცნო. შემდეგ სიდნეიში შეხვდნენ ერთმანეთს. მუსტერი მელბურნში მიდიოდა, სარა კი ინგლისში უნდა დაბრუნებულიყო. მოულოდნელად, სარამ თვითმფრინავის ბილეთი დააბრუნა და მუსტერი ვარჯიშზე აღმოჩნდა. იმ ღამეს სასტუმროში მუსტერის ნომრის კარზე ხელით ნაწერი აბრა გაჩნდა: „არ შემაწუხოთ!" დილით მუსტერმა ვარჯიში გააცდინა და სიცხე მოიმიზეზა. ამ დროს ჭორიკანა ჟურნალისტებმა „სიდნეი-ჰერალდში" წერილი გამოაცხვეს სათაურით „ჩოგბურთის ვარსკვლავის რომანი", რაზეც მისმა მენეჯერმა და მეგობარმა როლანდ ლაითპებმა განაცხადა — მუსტერს დღესდღეობით ერთადერთი რომანი აქვს — ავსტრალიის ღია ჩემპიონატი.

ამ დროს მარიელა ტაინერი მარტო იჯდა მონტე-კარლოს უზარმაზარ აპარტამენტებში და ჟურნალისტთა ამ გამოხტომას დინჯად (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად) შეხვდა: „ფოტორეპორტიორებმა მუსტერს გული გაუწყალეს და მუდამ მის პირად ცხოვრებაში შეჭრას ცდილობენ. მე კი მათი მონაჩმახის არ მჯერა."

ალბათ, მუსტერსაც არ შეაშინებს ეს გამოხტომები, რადგან პოპულარობა თავისთავად მსხვერპლსაც მოითხოვს. მუსტერის მიზანია, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეს ჩოგბურთის ვარსკვლავად: „მე ვთამაშობ იმისთვის, რათა მერე, როცა ყველაფერი უკან დარჩება, განვლილი გზის გადახედვისას ვიგრძნო, რომ ბედნიერი ვარ იმით, რასაც მივაღწიე."

ილია მხეიძე

შემოუშველებული სიტყვა

# სადღაც დაიკარგა ის ძველი და ბჭვილი

აი, უკვე მერამდენე „ოლ სტარზის" გეიმი მოილია NBA-მ. ზანგის ბიჭების სიჩაუქეს და კონდიციას რომ უყურებ, ფიქრობ, რომ კალათბურთის თამაში — აქედან ნიუ-იორკს რომ გამოსდლე-ბი და იქიდან ლოს ანჯელესს — აზრი არა აქვს. თუ კალათბურთის თამაში გი-ნდა და თავს მოთამაშედ თვლი, ამერი-კაში უნდა წახვიდე და რომელიმე ლი-გაში მაინც უნდა მოსინჯო თავი.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ, ერთი მცირედი „მაგრამ" მაინც არებობს. NBA-ში ძალიან აიწია საშუალო მო-თამაშის დონემ. დღეს მაინც ყველა იქაურს შეუძლია ის, რასაც ადრე ერ-თეულები სჩადიოდნენ. თუნდაც ათი წლის წინანდელი NBA რომ ავიღოთ, ამას იოლად დავინახავთ. მაგრამ ამ დიდ ლიგას ახლა სხვაფრივ შეუდგა წყალი — ზემოთ ნახსენები „ერთეულე-ბი" დაუცოტავდა. ერთი, ორი და ჰა, სადღაა ოდინდელი ბრწყინვალების ვა-რსკვლავი? თუ არიან, ისინიც იმ დიდი, „ოთხმოციანების" თაობის ნამტვრე-ვნი. ჯორდანი რომ არ დაბრუნებუ-ლიყო და ლიპდადებულ მეჯიქსაც გუ-ლი არ აჩუყებოდა, ლიგაში „ზეციური" და გვირგვინოსანი არავინ დარჩებოდა. დიახ, ქრებიან დიდი ინდივიდუალის-ტები. აი, კრის მულინიც აღარ ჩანს ძველებურად, დომინიკ უილკინსიც ელადას გაეშურა და ასე, გაუთავებლად. ვინ ამბობს: დიდებულია სკოტი პიპენი, შონ კემპიც ფრენს და საერთოდ ფრე-ნენ NBA-ის არწივები, მაგრამ რომე-ლია ამათ შორის ერთადერთი, დიდი და განუმეორებელი? რომელია ჯადო-ქარი და გმირი?

აი, გასული კვირის „ოლ სტარზიც" აიღეთ — ჯორდანი მთელი თავისი ღვ-თაებრივობით და პლუს ძალიან კარი, პირდაპირ გადასარევი ბიჭების დიდი კრებული (თორემ ოლაჯუონი რომ საუცხოო და „ოთხმოციანელია", ად-რეც ვიცოდით, ადმირალსაც პატივს ვცემდით, ჯონ სტოქტონსაც, კე-თილ პატრიკსაც და რეჯი მილერსაც).

და ახლა მახსენდება, პირველი „ოლ სტარზი", რომელიც საბჭოთა სინამდ-ვილეში ვიხილე. ამ ათი წლის წინ ვი-ლაცამ მოიტანა კასეტა ირაკლი კობი-ძესთან (არის ასეთი ცნობილი კაცი გა-მოღმა უბნის ახალთაობის გულშემატ-კივართა შორის). ჩვენ დავსხედით და ვუყურეთ. დამთავრდა და კიდევ ვუყუ-რეთ. მერე კიდევ. მთელი ღამე ეს ამ-ხანაგური თამაში მედგა თვალწინ. გა-საშტერებელი იყო ის, რომ №32, ვინმე ჯონსონი მცველი გახლდათ და ბუ-როებს ტენიდა. იყო ასეთი, რალფ სე-მპსონიც იმავე დასავლეთის გუნდიდან — ცენტრი, რომელიც მშრალად კი თა-მაშობდა, მაგრამ ვერ დაივიწყებდი. აქვე იყო ქარიმი, თავისი „ზეციური კა-უჭით", ლეგენდა სნაიპერი ჯორჯ გე-რვინი, ლარი ნენსი და კიდევ სხვებიც.

და აღმოსავლეთში? დოქტორ ჯეი. თვით დოქტორ ჯეი თავისი ცალი ნო-მრით, ლარი ბერდი, კაცი ჩვეულებრი-ვი და არაჩვეულებრივი, გონებამახვი-ლობის და შრომის ნაერთი. თვით აი-ზიაც — კალათბურთის გარინჩა, თვით დომინიკიც... მაიკლ ჯორდანი, უქეი-ფოდ მყოფი იქვე იჯდა კოსტუმში.

ახლა ოდნავ დაბალი ტიტულებისა? ესენიც გამორჩეული ინდივიდუალო-ბის მოთამაშენი. მაკჰეილი და ბელადი პერიში, როლანდო ბლექმენი და ჯე-იმს ვორსი, ტერი კამინგსი და ჯეკ სი-კმა. ახლა დიდი მოზესი, გვარად მელო-უნი? ან დენის ჯონსონი?

აი, ესენი. და ყველაზე მთავარი რა იყო იცით? შეხვედრის ბოლო ორი წუთი კასეტაზე წაშლილიყო და ვიცო-დით, რომ დასავლეთმა მოიგო და მეტი არაფერი.

და ახლა, ახალი „ოლ სტარზების" ცქერისას ვხედავ, რომ მძლეა შაქილი, რომ ყველამ — გრანტ ჰილმაც, მიჩ რი-ჩმონდმაც, გერი პეიტონმაც, ტარულ ბრენდონმაც, ჰარდევეების საგვარეუ-ლომაც და სხვებმაც, მურნინგის თამა-დობით, იციან დიდი კალათბურთი, მა-გრამ მომკალით და ამათ ძნელად გავა-რჩევ ერთმანეთისგან. ერთ ყალიბში მოუჭრიათ — დიდ, კარგ ყალიბში.

ქრებიან დევგმირები — მათ ადგილას უბრალოდ მაგარი ბიჭები მოდიან. ღმე-რთმა იცის, კარგია ეს თუ ცუდი. მექა-ნიკა და სტანდარტები — რას იზამ. თო-რემ პირადად ჯეისონ კიდს არაფერს ვერჩი — უბრალოდ ბობ მაკადუ მირჩე-ვნია.

გოგი ახვლედიანი, მეხვეტე

# ოვალური კრიალოსანი

ხვალ ხუთი ერის პირველობაზე მესამე ტურია: უელსი კარდიფში მასპინძლობს შოტლანდიას, საფრანგეთი პარიზში — ირლანდიას. შოტლანდიას 4 ქულა აქვს (2 თამაშიდან), ინგლისსა და საფრანგეთს — 2 (2), უელსსა და ირლანდიას კი — 0 (1).

კარდიფის მატჩის მონაწილეებს წინა ტურის შემდეგ შემადგენლობები არ შეუ-ცვლიათ. სამაგიეროდ, პარიზელ მეტოქე-ებს ხუთი ერის პირველობის სამ-სამი ახა-ლბედა გამოჰყავთ: ირლანდიას — კოს-ტელო (8 ნომრად), ჰამფრიზი (10) და ვუ-დზი (11), ხოლო საფრანგეთს — კომპონი (13), ტურნერი (1) და კასტელი (6). გარდა ამისა, ფრანგებს მნიშვნელოვანი გადანაც-ვლებანიც განუხორციელებიათ: ლაკრუასა (10) და კასტენიედს (12) ადგილები შეუ-ნაცვლეს, ფრთის მორკინალი ბენაზი მეო-რე ხაზში გაამწესეს, შერკინების ნახევარ-მცველად კი აღადგინეს აკოსებერი. შოტ-ლანდიასთან წაგების შემდეგ დაითხოვეს პენო (13), პერიე (1) და მერლი (5).

თუ სქოთები კარდიფშიც გაიმარჯვე-ბენ, 2 მარტს შინ, მარიფილდში, უფრო გამეტებით შეერკინებიან ძველთაძველ მე-ტოქე ინგლისს, რაკილა სიმბოლურ დიდ სლემამდე ეს ერთი გამარჯვებაღა აკლდე-ბათ. ესმით რა ამ მატჩის დიდი მნიშვნე-ლობა, ინგლისელებს ამთავითვე გა-მოუცხადებიათ სამარიფილდო შემადგენ-ლობა: დაუთხოვიათ 208-სანტიმეტრიანი მეორეხაზელი ბეიფილდი და ფრთის მო-რკინალი როდბერი; 8 ნომრად აღუდგენი-ათ ვეტერანი დინ რიჩარდსი, ვინაც 47-ე კენს მოიხვეჭს; ქლარქი ფრთაზე გადაუყ-ვანიათ, ბეიფილდის მაგივრად კი ათა-მაშებენ ახალბედა გარეს არჩერს.

გუნდის უფროსობაც ნირწამხდარი ყო-ფილა: იმან, რომ უელსთან მოგების მიუ-ხედავად ინგლისი მაინც აკრიტიკა საზოგა-დოებრიობა, კაპიტან ვილ ქარლინგს ათქ-მევინა, ბიჭები ერთობ გულდათუთქულები არიან და საბრძოლველად მათი ხელახლა განწყობა გაჭირდებაო.

ის იყო, რაგბის საერთაშორისო საბჭომ (ირბ) 31 იანვარს ბრძანა, უცხოელ მოთამა-შეებს ქვეყნების ჩემპიონატებში ჩაბმის უფ-ლება ჩასვლიდან 180 დღის შემდეგ მიეცე-თო, რომ ბრიტანელები, მეტადრე კი ინგლი-სელები აჯანყდნენ, რაკილა რაგბის გაპროფე-სიულების კვალად მშვენიერ მადაზე მოსუ-ლან და ავიახთ კლუბებში ლაძისაა ძთელი მსოფლიოს ნალებს მოუყარონ თავი. საქმე ისე სერიოზულადაა, რომ უკმაყოფილო კლუბებმა შეიძლება უჩივლონ ირბ-ს და სა-სამართლოს მიაღებინონ განაჩენი, რომ ახა-ლი დადგენილება პროფესიული საქმიანობის აშკარა შეზღუდვაა.

დიდი ტაციაობა ყოფილა ბებერ ვარსკ-ვლავებზე. ლონდონის „სერეზინზს" შეუ-ბამს ავსტრალიელი ბომბარდირი მაიქლ ლა-ინაფი, ავსტრალიელივე მელელოვისა და შემაქცევარის — დევიდ ქემფიზის გული-სთვის კი თურმე ლონდონის „ჰარლიქვინზი" (ქარლინგის კლუბი) და მანჩესტერის „სეი-ლი" დაობენ. უბერებელი 33 წლის „კამპო" დიახაც რომ დიდი ძალაა.



დევიდ ქემფიზი

ჩოგბურთი

# ჯენის დუნდულა დასჭიმვია

ლელა მესხმა და ანკე ჰუბერმა დალუპეს ექს-ვუნდერკინდი ჯენიფერ კაპრიატი. ერთმა 1993 წლის აშშ-ის ღია პირველო-ბის პირველსავე წრეში გააგდო, მეორემ — 1994 წლის ოქტომბერში, ფილადელფიის ტურნირის პირველსავე წრეში. ამ მარცხე ბმა ოლიმპიურ ჩემპიონ ჯენიფერს გული აუცრუეს სპორტზე და ისიც სიგლახის ჭა-ობში ჩაეფლო.

ორნახევარი წელი იყო, ამ ორი შემთ-ხვევის გარდა კაპრიატი კორტზე გასული რომ არავის ენახა. აი, ამის გამო ჟურნა-ლისტები მრავლად მიაწყდნენ პარიზის კუბერტენის სახელობის სტადიონს, სადაც ამ ქალაქის ჭერქვეშა პირველობა თამაშ-დება. იქ სამშაბათს კაპრიატის პირველი მეტოქე უნდა ყოფილიყო მსოფლიოს 25-ე ჩოგანი, ბელგიელი საბინე აპელმანსი, რომელიც ერთობ ჰკვირობდა ძე ცთომი-ლის სარბიელზე დაბრუნებას.

ის იყო, გაილია ზანტი მატჩების გული-სგამაწვრილებელი პროგრამა და დადგა კა-პრიატის გამობრძანების დრო, რომ გამო-აცხადეს, 19 წლის ამერიკელი ქალი დაშა-ვებულა და ვერ ითამაშებსო. საზოგადოება პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. სამაგი-ეროდ, ჟურნალისტებმა გამოსწორებული გოგო მაინც იხილეს პრეს-კონფერენცია-ზე, სადაც გაირკვა, რომ ჯენიფერი თამაშს კი ნამდვილად აპირებდა, მაგრამ ვგლაჯ, რომ მოთელვისას დუნდულა დასჭიმვია. ისე კი ამერიკელი ქალი მოხარული ყო-ფილა, ასპარეზს რომ უბრუნდება და თუ კიდევ რაიმე ფათერაკი არ შეემთხვა, შე-იძლება იასპარეზოს იქეთა კვირაში ესე-ნის (გერმანია) ტურნირში. რაც შეეხება პარიზელთა ფავორიტ მარი პირსს, შა-რშან მან ფინალში გააღწია, მაგრამ იქ შტეფი გრაფთან დამარცხდა. წელს მარი პირველსავე წრეში, ოთხშაბათს გააგდო ნაკლებად ცნობილმა გერმანელმა, გვარად ბეგეროძ 7:5, 7:5.

კაპრიატიზე ნაკლებ საგულისხმო ამბები როდი გადახდა ავსტრიელ თომას მუსტერს, რომლის ცხოვრებისეულ პორტრეტსაც წი-ნა გვერდზე გაეცნობით. მისი გუნდი ჩარჩა იოჰანესბურგში, სადაც წვიმამ ერთობ გააჯა-ნჯლა სამხრეთი აფრიკისა და ავსტრიის დე-ვისის თასის მერვედფინალური მატჩი. შა-ბათს შეწყვეტილი წყვილთა თამაში გაგრძე-ლდა ორშაბათს: ფერერამ და მულერმა ბო-ლოსდაბოლოს აჯობეს მუსტერსა და ანტო-ნიჩს და მასპინძლები 2-1 დაწინაურდნენ, მა-[illegible] ფე-რერას და ახგა[illegible]. ბოლო, მეხუთე „რობერტის" ორშაბათ [illegible] მას-პინძელი მარკუს ონდრუშკა და სტომარი გა-[illegible] გამარჯვება სამხრეთ-აფრიკელმა და მისი გუნდი მეოთხედ-ფინალში გავიდა.

ამასობაში მუსტერი უკვე მსოფლიოს პირველი ჩოგანი გამხდარიყო. საქმე ისაა, რომ კლასიფიკაცია ერთობ ბრიყვულად დგება — მასში თანაბრად (?!) ითვლება ზუ-სტად (?!) ბოლო ერთი წლის (?!) შედეგე-ბი. დევისის თასის მერვედფინალების გა-მო წელს სან-ხოსეს (კალიფორნია) ტურ-ნირი შარშანდელზე ერთი კვირით გვიან — ამ კვირაში იმართება, რის გამოც აგასის და სამპრასს შარშანდელი მონაგარი უკვე ჩამოაკლეს, მუსტერს კი, რაკი იქ არ უთა-მაშია, არაფერი დაექვითა, რისი წყალო-ბითაც ორივე ამერიკელს გაუსწრო და კლასიფიკაციის შემოღებიდან მე-13 „მეუ-ფეც" შეიქმნა, რამაც გაგულისა ჩამოქვე-ითებული, აქაოდა ერთი-ორის გარდა ავს-ტრიელს ყველა ტიტული თიხნარზე აქვს მოხვეჭილი და მსოფლიოში უძლიერესად რა ნამუსით უნდა იწოდებოდესო.

მართლაც, მუსტერი იოჰანესბურგიდან თუმც სასწრაფოდ ჩაფრინდა დუბაიში (სა-ამიროები), იქ ოთხშაბათს პირველსავე წრეში წააგო ავსტრალიელ სთოლისთან 1:6, 6:3, 6:7 (0-7). დამარცხდა ორი პატი-ვცემული ვეტერანიც: ამერიკელმა კურიემ, ვინც არაბეთს,პირველად ეწვია, 5:7, 6:7 წა-აგო ესპანელ ბერესატეგისთან, შვედ ედბერგს კი 5:7, 7:6, 6:4 მოუგო გერმანე-ლმა პრინოსილმა. სამაგიეროდ, პირველი მატჩი მოიგო ჩეხმა კარელ ნოვაჩეკმა.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის, დიდ სპორტში დაბრუნებული შვედი მატს ვილანდერისა და ჩეხი კარელ ნოვაჩეკის ნიუ-იორკელი ვექილი უჩივის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას (იტფ), რომე-ლმაც ამ ორი კვირის წინ პრესას ისე, სახე-ვათაშორისოდ ამცნო, რომ შარშანდელ საფრანგეთის ღია პირველობაზე ზემოთხსე-ნებულ მოთამაშეებს ვითომც კოკაინის ხმა-რება დაუდგინეს. ვექილი იმოწმებს ფედე-რაციისავე განცხადებას, ვიდრე გამოძიება არ დასრულდება, წესად არა გვაქვს ფაქტე-ბის გამოქვეყნებაო, და იქეთ ბრალს სდებს ორგანიზატორებს, აქაოდა უკვე მრავალჯერ დადასტურდა, რომ პარიზის ლაბორატორი-აში ჩატარებული ტესტები მეტწილად მცდა-რია, ვინაიდან იქ სინჯებს წესიერად ვერ ინა-ხავენო. ვილანდერი ვექილთან ერთად ქალ-ლდეის [illegible] თამაშობს.

# სიერა-ნევადური ფათერაკი

სიერა-ნევადაში (ესპანეთი), სამთო-სათხილამურო სპორტის მსოფლიო პირვე-ლობაზე კურიოზი მოხდა. ოთხშაბათს სწრაფდაშვების ტრასაზე მოვარჯიშე რუსი ტატიანა ლებედევა დაეჯახა საერთაშორისო ფედერაციის ამერიკელ მოხელე პა-როლდ შუნაუერს. შეჯახების ორივე მონაწილეს ფეხები მოტყდა.

ორშაბათსა და სამშაბათს ქალთა და ვაჟთა სუპერ-გიგანტები მოეწყო. ქალთა კვა-რცხლბეკზე განლაგდნენ იზოლდე კოსტნერი (იტალია), ჰაიდი ცურბრიგენი (შვეი-ცარია) და [illegible] სთრითი (აშშ), ვაჟთა მოწინავე სამეულში კი მოხვდნენ ატლე სკაა-რდალი (ნორვეგია), პატრიკ იარბინი (შვედეთი) და კიეტილ-ანდრე ომოდტი (ნორ-ვეგია). ქალთა მსოფლიო თასის ლიდერი, გერმანელი კატია ზაიცინგერი კარს წამო-ედო და ცალი თხილამური წასძვრა.

# შიშს დიდი თვალები აქვს

შაბათს ლას-ვეგასში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) მძიმეწონოსან ექს-ჩე-მპიონ თომი მორისონისთვის იმიტომ აუკრძალავთ ართურ ვეზერზთან შერკინება, რომ ნევადელ ექიმებს მისთვის შიდსის გამომწვევი ვირუსი აღმოუჩენიათ. ამ ამბის შე-მტყობი მორისონი უმალ შინ, ტალსას (ოკლაჰომა) გაფრინდა და ხელახალი ანალი-ზიც აალებინა, მისმა მენეჯერმა თონი ჰოლდენმა კი განაცხადა, ჩემი შეგირდის სარი-ნგო კარიერა დასრულდა და დროა, სპორტულ კომენტატორად სცადოს ბედიო.

მორისონის ამბავს ერთობ შეუშინებია რეფერი მილზ ლეინი, ვინც იმსაჯა მორი-სონის ბოლო შერკინება, შარშან ოქტომბერში ატლანტიკ-სითიში რომ გაიმართა. მა-შინ საბჭოს (ვბკ) ექს-ჩემპიონმა, ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა მეშვიდე რაუნდში ტე-ქნიკური ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი, რომელსაც სისხლიც წასკდა. რეფერი-სთვის სინჯის შედეგი ჯერ არ უცნობებიათ, თუმც კი ანუგეშეს, მაგ გზით დასნებო-ვნების შანსი იოტისოდენააო.

# სოლიდარობამ შუღლი დაავიწყათ

ინდოელებს და პაკისტანელებს, მეტა-დრე კრიკეტის მოთამაშეებს, ერთმანეთი მაინცდამაინც არ ეხატებათ გულზე, მაგრამ ავსტრალიისა და ვესტ-ინდოეთის მიერ VI მსოფლიო თასის ლანკური მატჩების ბოი-კოტმა მეზობლური შუღლი დაავიწყათ. ჰოდა, ინდუსებმა და მუსლიმებმა ბოლო 50 წლის მანძილზე პირველად შეადგინეს ერ-თიანი გუნდი და სამშაბათს ეწვივნენ შრი-ლანკის დედაქალაქ კოლომბოს, რათა მთე-ლი დუნიისთვის დაემტკიცებინათ, რომ ლაჩარი ავსტრალიელები ტყუიან, როცა ამტკიცებენ, კოლომბოში ყუმბარები სკდე-ბა მეტისმეტად ხშირად, ამიტომ შრი-ლა-ნკასთან სათამაშოდ იქ ცოცხალი თავით არ ჩავალთ, გინდაც წაგება მოგვისაჯონო.

ინდოეთ-პაკისტანის ნაკრები საჩვენებე-ლი, 40-წყებიან თამაშში შრი-ლანკისას შეეჯიბრა და 4 ბჭითა და 33 ბურთით მო-უგო. მთელი თამაში არ შეუსვენია სასულე ორკესტრსა და მოზეიმე ხალხს, ვინც ორივე გუნდს უკრავდა ტაშს. ლანკელმა კრიკეტის მამებმაც შვება ჰპოვეს, რადგა-ნაც უამთამაშოდ მსოფლიო თასის ორი ჩაშლილი მატჩით მიყენებული ფინანსური ზარალი გაუსაძლისი იქნებოდა.

საკუთრივ მსოფლიო თასის პირველი მატჩი ოთხშაბათს გაიმართა აჰმადაბადში (ინდოეთი). ზელანდიამ 11 გარბენით სძ-ლია ინგლისს. „კივიმ" 50 წყებაში 6 ბჭის სანაცვლოდ 239 გარბენი გაახერხა, მერე კი ამდენსავე წყებაში ინგლისს 9 ბიჭის სა-ნაცვლოდ ოდენ 228 გარბენი დაანება. ბრიტანელთა კაპიტანი აფერთონი მეორე წყებაში მაშინ გაავდეს, ერთი კინკილა გა-რბენი რომ მოეგროვებინა.

გუშინ რავალპინდში (პაკისტანი) უნდა ეთამაშათ სამხრეთ აფრიკასა და მსოფ-ლიო თასის დებიუტანტ არაბთა გაერთია-ნებულ საამიროებს, მაგრამ კოკისპირუ-ლმა წვიმამ დატბორა მოედანი. თუ გამო-იდარა, თამაში დღეს გაიმართება.

ყაფლან ჯანდიერი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფ | ი | რ | მ | ა | | შ | ე | ვ | ა | რ | დ | ე | ნ | ი | | |
| | გ | თ | ა | ვ | ა | ზ | ო | ბ | თ | | ს | პ | ო | რ | ტ | ი | ს | |
| ს | ა | თ | ა | მ | ა | შ | ო | | ს | ა | ხ | ე | ო | ბ | ე | ბ | ი | ს |
| | | ს | ა | ი | ნ | ფ | ო | რ | მ | ა | ც | ი | ო | | დ | ა | | |
| | ს | ა | რ | ე | კ | ლ | ა | მ | ო | | ე | ლ | ე | ქ | ტ | რ | ო | |
| ტ | ა | ბ | ლ | ო | ე | ბ | ი | ს | | დ | ა | მ | ზ | ა | დ | ე | ბ | ა |
| | - | | რ | ე | კ | ო | ნ | ს | ტ | რ | უ | ქ | ც | ი | ა | ს | | |
| | | | ტ | ე | ლ | : | | 3 | 9 | - | 8· | 5 | - | 2 | 4 | | | |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუ-ხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29